ეფექტური ლოცვითი ცხოვრება

ჩაკ სმიტი

თარგმანი: ანი ზეიკიძე
გიორგი ფიროსმანაშვილი

რედაქტორი: გიორგი ფიროსმანაშვილი

სარჩევი

შესავალი

1. რა არის ლოცვა?
2. ლოცვის მიზანი
3. ლოცვის პრივილეგია
4. ეფექტური ლოცვა
5. ძალა ლოცვაში
6. ილოცე და გიპასუხებ
7. ულოცველობის ცოდვა

შესავალი

დღეს ჩვენ უიმედობის დროში ვცხოვრობთ. მიუხედავად ამისა, ეკლესია ღვთის წინაშე ლოცვაში უიმედო არ არის.

„მობრუნდა მოწაფეებთან და მძინარენი ნახა ისინი; უთხრა პეტრეს: „ნუთუ ვერ შეძელით, ერთ საათს გეფხიზლათ ჩემთან ერთად?“ (მათე 26:40) ჩვენ ვამბობთ: „სირცხვილი შენ, პეტრე! სირცხვილი, იოანე! რა საშინელებაა! უფალთან ერთად ერთი საათიც კი ვერ იფხიზლეთ!“ მაგრამ იფრთხილეთ. როდესაც ერთ თითს სხვისკენ იშვერთ, სამი თითი თქვენკენაა მომართული.

ლოცვა ხელახლა დაბადებული ქრისტიანისთვის უმნიშვნელოვანესი ქმედებაა. ის თქვენი პრიორიტეტების სათავეში უნდა იყოს, რადგან, რა თქმა უნდა, ჩვენს ირგვლივ უიმედო სამყაროს ძლიერ სჭირდება ლოცვა. ლოცვა ღმერთს ამ უკანასკნელ დღეებში დიდებული საქმის შესასრულებლად გაუხსნის კარს. ის ბოროტების ტალღას შეაჩერებს.

ლოცვის შესახებ კვლევების ეს კრებული აზრებს, წესებსა და წმინდა წერილის გარკვეულ მუხლებს წარმოგიდგენთ. როდესაც ამ ყველაფერს პრაქტიკაში გამოიყენებთ, ღმერთთან ახალ ურთიერთობაში შეხვალთ და უფრო ეფექტურ და დინამიურ ლოცვით ცხოვრებას შეუდგებით, რომელშიც ბოროტ ძალებთან იბრძოლებთ ამ უკანასკნელ დღეებში. ჩვენ არა ხორცსა და სისხლთან, არამედ სულიერ ძალებთან და მთავრობებთან ვიბრძვით, ამიტომ ჩვენი ბრძოლის იარაღი არ შეიძლება ხორციელი იყოს. ლოცვა ყველაზე მძლავრი იარაღია, რომელიც სულიერ არსენალში გვაქვს და მისი მეშვეობით მტრის სიმაგრეების დანგრევა შეგვიძლია. აკონტროლებს თუ არა სატანა თქვენი ქალაქის მთავრობას? ბოჭავს თუ არა ის თქვენს ქმარს, ცოლს ან შვილებს? ამ წიგნის მეშვეობით შეისწავლით თუ როგორ უნდა დაანგრიოთ ეს მყარი სიმაგრეები.

1. რა არის ლოცვა?

ლოცვა შეიძლება სამი ძირითადი ფორმით გამოიხატოს: თაყვანისცემა, თხოვნა და შუამავლობა. თითოეულ ფორმას თავისი ვარიაციები აქვს.

თაყვანისცემა

ლოცვის პირველი ფორმაა თაყვანისცემა. ეს ცნობიერების მიერ ღმერთის შემეცნების სპონტანური შედეგია. როდესაც ღმერთის სიდიადეს, ჩემთან სიახლოვესა და ჩემ მიმართ მის სიყვარულს ვაცნობიერებ, ბუნებრივად ვპასუხობ მისადმი ღრმა, შინაგანი თაყვანისცემით. ერთ დღეს პატარა მუმლი შევნიშნე, რომელიც დაფრინავდა. გამიკვირდა, რამდენად პატარა იყო და მაინც ასე შესანიშნავად დაპროექტებული. გრავიტაციის კანონების დაუმორჩილებლობა, ჰაერში დაკიდება და სწრაფად მანევრირება შეეძლო. ვფიქრობდი: „ღმერთო, მცირე არსებათა დიზაინშიც კი ისეთი ბრძენი ხარ."

შემოქმედებითი გენიალურობისთვის ღმერთის თაყვანისცემა ლოცვის ფორმაა. თაყვანისცემას შთააგონებს იმის გაცნობიერება, თუ ვინ არის ის და რა გააკეთა. როდესაც ღმერთის სიბრძნესა და ძალას ვაღიარებ, მოწიწება მიპყრობს. როდესაც ჩემ მიმართ ღმერთის დაუმსახურებელ სიკეთეს ვაცნობიერებ, ჩემში მადლიერება და ქება სპონტანურად წარმოიქმნება.

ქრისტიანები მოზიარეობისა და ლოცვის ამ ფორმაში მუდმივად უნდა იყვნენ ჩართულნი. ღმერთის შესახებ უფრო მეტი უნდა შევიმეცნოთ, როდესაც ის ბუნების საშუალებით გველაპარაკება. მის ძალას ქარიშხალსა და ელვაში ვხედავთ. მისი სილამაზის სურნელი ვარდში იგრძნობა. მის დიზაინს გვირილაში ვხედავთ. „მესმის, როგორ აშრიალებს ბალახებს მისი ნაბიჯების ხმა. ის ყველგან მელაპარაკება." ზოგჯერ სიტყვიერად გამოვთქვამთ თაყვანისცემას, უფრო ხშირად კი - არა. ეს უბრალოდ მოჭარბებული გრძნობაა ჩვენს გულებში, როდესაც ღმერთი თავის თავს ათასობით სხვადასხვა გზით გვიჩვენებს. უბრალოდ ვამბობთ: „ო, რაოდენ დიდებულია ღმერთი!" ჩვენ თაყვანს ვცემთ და ვეზიარებით მას მისი სიყვარულისა და მადლის აღიარებით.

თხოვნა

ლოცვის მეორე ფორმა თხოვნაა, რაც მოკლედ იმას აღწერს, როდესაც უფალთან ჩემი სათხოვრები მიმაქვს და დახმარებას ვთხოვ, რაც ძალზედ მჭირდება. დღითიდღე უფრო მეტად ვითხოვ მის სიბრძნეს, წინამძღოლობას, ძალასა და შემწეობას. ზოგიერთ ადამიანს უფლის წინაშე თხოვნით წარდგომა ეგოისტურ ლოცვად მიაჩნია. ამბობენ, რომ საკუთარი საჭიროებისთვის ლოცვა არასწორია, რადგან ჩვენ სხვებზე უნდა ვფიქრობდეთ.

ჩემი ინიციატივის გამო ეს ლექსი უნდა დამეზეპირებინა:

უფალო, ნება მომეცი ვიცხოვრო დღიდან დღემდე,
ისეთი თავდავიწყებით, რომ მუდამ მუხლს ვიდრეკდე.

შენს წინაშე რომ ლოცვაში, ვფიქრობდე მხოლოდ სხვებზე.
გთხოვ დამეხმარე, საქმეებს შენთვის რომ ვაკეთებდე.

მუდამ გულწრფელად მართალი შენს წინაშე რომ ვიდგე,
რომ ვმორჩილებდე შენს ნათქვამს, სხვათა მსახურად მზრდიდე.

დამეხმარე, რომ მიყვარდეს სხვები, უფალო, სხვები.
ვიცხოვრო მხოლოდ სხვებისთვის, ვიცხოვრო მხოლოდ შენთვის!

ეს ლამაზი ლექსი სიმართლეს გამოხატავს. სხვებისთვის უნდა ვილოცო და ვიზრუნო მათ საჭიროებებზე. მიუხედავად ამისა, ლოცვაში ასევე ჩემს საჭიროებებზე უნდა ვიზრუნო. რაც გინდათ, ის უწოდეთ, მაგრამ გარკვეული მოთხოვნილებები მაქვს, რომლებიც მანამ უნდა დაკმაყოფილდეს, სანამ სხვებისთვის სარგებლის მომტანი ვიქნები.

ბიბლია ამბობს: „მიწის მუშაკი პირველი უნდა ეზიაროს ნაყოფებს“ (2 ტიმოთე 2:6). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერ გასცემ იმას, რაც არ გაქვს. ვირუსის მსგავსად - ვერავის გადასდებ, თუ ჯერ შენ არ შეგხვდა. ამიტომ, პირველ რიგში, ღვთის მადლის, სიყვარულის, ძალისა და ხელმწიფების თანაზიარი უნდა ვიყოთ. მხოლოდ მიღების შემდეგ გვაქვს სხვებისთვის რაღაც გასაზიარებელი.

იესოს ერთ-ერთმა მოწაფემ თქვა: „უფალო, გვასწავლე ლოცვა, როგორც იოანემ ასწავლა თავის მოწაფეებს“. შემდეგ იესომ ასწავლა ლოცვის მაგალითი: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმინდა იყოს სახელი შენი. მოვიდეს მეფობა შენი. იყოს შენი ნება, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ (ლუკა 11:1-2). ლოცვის პირველი ნაწილი ღმერთისადმია მიმართული და თაყვანს ვცემთ მისი სიწმიდის გამო: „წმიდა იყოს სახელი შენი“. შემდეგ მოდის ლოცვა ღვთის სამეფოსთვის: "მოვიდეს მეფობა შენი". პირველ რიგში ღვთის სამეფო და მისი სიმართლე უნდა ვეძიოთ.

შემდეგი თხოვნაა: „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ ყოველ დღეს და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენი ბოროტისაგან“ (ლუკა 11:3-4). ეს პირადი შუამდგომლობებია ჩემი საკუთარი საჭიროებისთვის. მოთხოვნილებები ნამდვილად მაქვს და ღმერთს სურს, რომ ისინი მას წარვუდგინო. არაფერია ცუდი იმაში, რომ ვილოცო და ღმერთს ვთხოვო, ჩემი ქირის ფული ან სხვა ნებისმიერი რამ მომცეს.

შუამავლობა

ლოცვის მესამე ფორმა, შუამავლობა, ლოცვის ისეთი ფორმაა, რომელიც შეიძლება ღვაწლად (შრომად) ჩაითვალოს. ღმერთის თაყვანისცემა საქმე არ არის - ეს დიდებაა! ეს სპონტანურია, უმშვენიერესი ზიარება და ღმერთთან ურთიერთობა. თხოვნა არც ისე დიდი შრომაა, რადგან ბუნებრივად მაინტერესებს, რაც მჭირდება და ძალიან მარტივად შემიძლია თხოვნა, მაგრამ როდესაც შუამავლობას ვიწყებ, მაშინ უნდა ვიშრომო.

პავლე კოლოსელთა ეკლესიისადმი დასკვნით სიტყვაში თავის ერთ-ერთ თანამსახურ ეპაფრას ახსენებს. „მოკითხვას გითვლით თქვენიანი ეპაფრა, ქრისტე იესოს მონა, რომელიც მუდამ იღწვის თქვენთვის ლოცვებში“ (კოლასელთა 4:12). აქ ლოცვა აღწერილია, როგორც ღვაწლი (შრომა).

შუამავლობითი ლოცვით ჩემს თავს მიღმა ვწვდები და ვლოცულობ არა ჩემი, არამედ გარშემომყოფების საჭიროებებისთვის. ვლოცულობ ჩემი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის და მეზობლებისთვის, რომლებიც იესო ქრისტეს ჯერ არ იცნობენ. ვლოცულობ ქრისტეს სხეულში მყოფთა საჭიროებებისთვის. ღვთის წინაშე ჩემს ყურამდე მოსული ყველა საჭიროება მიმაქვს.

შუამავლობითი ლოცვის დროს ვხვდები, თუ რა არის სინამდვილეში ლოცვა - ეს სულიერი ბრძოლაა.

ბრძოლა

ჩვენს ირგვლივ გამუდმებით მიმდინარეობს სულიერი კონფლიქტი. ჩვენი ფიზიკური თვალისთვის უხილავია სულიერი სამყარო, რომელიც იყოფა ორ კატეგორიად: სიკეთის ძალები და ბოროტების ძალები. ესენი მუდმივ ბრძოლაში არიან და ერთმანეთს სრულიად ეწინააღმდეგებიან. როდესაც შუამავლობით ლოცვაში შევდივარ, პირდაპირ ბრძოლაში შევდივარ, რითიც არსებულ სულიერ ბრძოლას ვუერთდები.

პავლე მოციქულმა თქვა: „რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სიბნელის სამყაროს მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“ (ეფესელთა 6:12). ამიტომ, ღვთის მთელი საჭურველი უნდა შევიმოსოთ. შემდეგ პავლე აგრძელებს ღმერთის საჭურველის ჩამოთვლას, რომლითაც ქრისტიანი ბრძოლისთვის უნდა შეიმოსოს.

რადგან, თქვა მოციქულმა, ჩვენი ბრძოლის იარაღი არ არის ხორციელი, რადგან ფიზიკურ ბრძოლაში არ ვართ. რომ ვყოფილიყავით, მაშინ ამქვეყნიური იარაღი გვექნებოდა. მაგრამ რადგან სულიერ ბრძოლაში ვართ, ჩვენი ბრძოლის იარაღი და ჯავშანი სულიერი უნდა იყოს. მათ ღვთაებრივი ძალა აქვთ მტრის სიმაგრეების დასამხობად (2 კორინთელთა 10:4).

რა უნდა გააკეთო მას შემდეგ, როდესაც ეფესელთა 6-ის მიხედვით მთელი სულიერი აბჯრით სრულად აღიჭურვები? უბრალოდ დადგე? არა! იბრძოლე! როგორ იბრძვი? „ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით“ (ეფესელთა 6:18). შენ ბრძოლისთვის აღიჭურვე - ხოდა იმოქმედე!

ბრძოლის სცენარი

სულიერი კონფლიქტის სცენა სწორედ აქ არის - დედამიწაზე. კონფლიქტის მიზანი დედამიწისა და მასზე მცხოვრები ინდივიდების კონტროლია.

დედამიწა იესო ქრისტეს სამართლებრივად ეკუთვნის. მან შექმნა ის და ადამიანს ჩააბარა, მაგრამ ადამიანმა მისი განკარგვის უფლება სატანას გადასცა. იესო მოვიდა და ყველაფერი დაიბრუნა. მან ჩვენც და სამყაროც გოლგოთაზე დაღვრილი სისხლით გამოგვისყიდა. იესოს ჯვარზე ყოფნის დროს ეშმაკი ფიქრობდა, რომ თვითონ იყო გამარჯვებული, მაგრამ მესამე დღეს იესო აღდგა და სიკვდილზე, ჯოჯოხეთზე, საფლავსა და სატანაზე გაიმარჯვა.

1 იოანეს 3:8-ში ავტორი გვეუბნება, რომ იესო ეშმაკის საქმეების გასანადგურებლად გამოცხადდა. ეს მან ჯვარზე სიკვდილით გააკეთა (ებრაელთა 2:14). მან სატანის ძალები დაიპყრო - გაანადგურა მთავრობები და ძალაუფლებები, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ იყვნენ. ისინი ჯვარზე მიალურსმა, გაიმარჯვა მათზე და თავისი გამარჯვება ღიად აჩვენა (კოლასელთა 2:14,15). მიუხედავად იმისა, რომ სამყარო სამართლებრივად ახლა იესო ქრისტეს ეკუთვნის, სატანა ცდილობს მასზე კონტროლი და მმართველობა ძალის გამოყენებით შეინარჩუნოს. როგორც მაშინ, როდესაც ღმერთმა მეფე საულს ისრაელზე მეფობა ჩამოართვა და მის ნაცვლად წინასწარმეტყველმა სამუელმა მეფედ დავითი სცხო, საული ძალით ცდილობდა იმის შენარჩუნებას, რაც კანონიერად მისი აღარ იყო და სამეფოდან დავითის განდევნა დაიწყო. ასე რომ, სატანა იმის შენარჩუნებას ცდილობს, რაც მას აღარ ეკუთვნის.

იესო ქრისტესაც აქვს გამარჯვების მეთოდი, მაგრამ არა ძალით. იესო სიყვარულით ცდილობს ადამიანები მასთან, თავის სამეფოში მიიზიდოს. ამრიგად, ომი ამ სამყაროში სიცოცხლის კონტროლისთვის გრძელდება. სატანა უზარმაზარ ძალასა და ზეწოლას

მიმართავს, რათა ხალხი თავის ბანაკში დატოვოს. იესო მოხიბვლითა და სათუთი სიყვარულით იზიდავს და ცდილობს ადამიანები დაარწმუნოს, რომ თავიანთი ცხოვრება მისი მფარველობის ქვეშ გადასცენ.

შუამავლობითი ლოცვისას თქვენ შუაგულ ბრძოლაში შედიხართ. ეს შრომად გარდაიქმნება, რადგან სიბნელისა და ჯოჯოხეთის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ხართ ჩართულნი. მტრის სიმაგრეების წინააღმდეგ ლოცვით მიდიხართ. თქვენ იმ ძალაუფლების მოწმე ხდებით, რომელიც გარშემომყოფთა ცხოვრებაზე აქვს სატანას. ლოცვით შეგიძლიათ ტარანთან ერთად (ნაძვის ან წიფლის მორი, რომელიც ქალაქის შტურმის დროს კედლების, კარიბჭის და კოშკების დასანგრევად გამოიყენებოდა) წახვიდეთ წინ და მტრის სიმაგრეები დაანგრიოთ, ინდივიდთა ცხოვრებაში რომ არის - გაათავისუფლოთ ისინი ძალაუფლებისგან, რომელიც მათ ტყვეობაში ამყოფებს.

ამგვარი ლოცვა - სულში მებრძოლი ლოცვა ნამდვილ ღვაწლად იქცევა. თქვენ იმის გაგებას იწყებთ, თუ რა იგულისხმა პავლემ, როდესაც თქვა, რომ ეპაფრა „მხურვალედ იღვწოდა“ ლოცვაში, მაგრამ დიდებულია იმის გაცნობიერება, რომ ლოცვა ამ სულიერ ბრძოლაში გადამწყვეტი ფაქტორია.

სატანა ძალიან ჯიუტი მტერი და უდრეკი მებრძოლია. ის მხოლოდ იმას თმობს, რასაც თავად მოისურვებს და მაშინ თმობს, როცა თავად მოისურვებს. ამიტომ, თქვენი ლოცვები ზედმიწევნით კონკრეტული უნდა იყოს. ბუნდოვანი და ზოგადი ლოცვები, როგორიცაა "ღმერთო, გადაარჩინე სამყარო" მტერს არც კი შეაფერხებს, მაგრამ როდესაც უფლის წინაშე ინდივიდის ცხოვრებას წარადგენთ და მასზე იესო ქრისტეს მფარველობასა და ხსნას აცხადებთ და ლოცვას კონკრეტული საჭიროებით იწყებთ, სატანა უნდა დანებდეს.

"უფალო, ჩემი მეგობარი, იოანე, სატანის ძალითაა შებოჭილი. მისი ცხოვრება არეულია და ნადგურდება. მე ვეწინააღმდეგები სატანის მოქმედებას იესო ქრისტეს სახელით და იესო ქრისტეს ჯვრის გამარჯვებით. გთხოვ, მამაო, გაათავისუფლო ის სატანის ამ ძალისგან, რომელიც დღეს მას ბოჭავს. გაათავისუფლე ახლა, რათა შეიცნოს იესო ქრისტეს სიყვარული. უფალო, დაე შენი სულით ესაუბრე თავის გულში და სატანის საქმე, რომელიც ბოჭავს და აბრმავებს მას, დაასრულე“. ამგვარად, ჩვენ მათ ეშმაკის დამატყვევებელი მახისგან ვათავისუფლებთ.

გააცნობიერეთ, რომ სატანა დაჟინებულია. მაშინაც კი, როდესაც ცოტაოდენ გამარჯვებას მოიპოვებთ, ლოცვა უნდა განაგრძოთ, რათა თქვენი მოპოვებული "მიწა" გაამაგროთ. როგორც კი მიწას აიღებთ, სატანა მობრუნდება და მის დასაბრუნებლად კონტრშეტევას განახორციელებს. ლოცვა უნდა იყოს დაჟინებული. მიწა, რომელიც მტერს ლოცვით წავართვით, ლოცვითვე უნდა შევინარჩუნოთ. ხშირად იმ ადამიანის ცხოვრებაში, ვისთვისაც ვშუამავლობდით, გამარჯვების ნიშნების დანახვისას სერიოზულ შეცდომას ვუშვებთ. ვხედავთ, რომ ისინი ქრისტეს მისაღებად ეკლესიის წინაშე გავიდნენ და ბიბლიის კითხვაც დაიწყეს, ამიტომ მათთვის ლოცვას ვწყვეტთ. ხშირად თესლს ჯერაც არ გაუდგამს ფესვი, რომ მტერი უკვე მის წასაღებად მოდის. ამიტომ გამარჯვების საწყისი ნიშნების დანახვის შემდეგაც უნდა გავაგრძელოთ ლოცვა.

მშვენიერი სიმართლე ისაა, რომ სატანა უკვე დამარცხებულია. შედეგი ბრძოლაში შესვლისთანავეა განსაზღვრული. იესომ სატანაზე გაიმარჯვა, ამრიგად, სატანა უნდა დანებდეს, როდესაც წინ იესო ქრისტეს ძალითა და ავტორიტეტით აღვუდგებით. განაცხადეთ გამარჯვება იესო ქრისტეში და სიცოცხლეები ერთმანეთის მიყოლებით გათავისუფლდება, როდესაც სატანის ციხესიმაგრეებში შეხვალთ და ლოცვის ამ ძლიერი იარაღით ჩამოანგრევთ!

ღმერთმა ლოცვა ხელმისაწვდომი თავისი ყველაზე სუსტი შვილებისთვისაც კი გახადა. ამის განხორციელება, განურჩევლად მისი სულიერი მდგომარეობისა, ყველა

ქრისტიანს შეუძლია. სულიერ ბრძოლაში ჩასართავად არაა საჭირო სულიერი გიგანტი იყო. მტრის არ უნდა გეშინოდეს ბრძოლაში ჩაბმისას, რადგან ის უკვე დამარცხებულია.

სატანამ იცის, რომ ლოცვა მის დამარცხებას ნიშნავს. ის ლოცვაში ხელის შეშლისთვის უფრო მეტად შეგებრძოლება, ვიდრე ნებისმიერ სხვა რამისთვის, რასაც აკეთებ. ზოგჯერ ის სხვა კონკრეტული საქმიანობისკენ გიბიძგებთ, რომლებიც უნაყოფოა.

გაოცებული დარჩებით იმ ხელისშემშლელი ფაქტორებით, რომლებიც გამოჩნდება, როდესაც დაიჩოქებთ და ლოცვას დაიწყებთ. ტელეფონი დარეკავს, ან ვიღაც გესტუმრებათ, ან მოულოდნელად გაგახსენდებათ ის, რისი გაკეთებაც გინდოდათ. მე როდესაც ვლოცულობ, ჩვეულებისამებრ, რვეულს ვიღებ, რათა აზრები ჩავინიშნო იმ დავიწყებულ რამეებზე, რასაც ყურადღება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცდუნება მაქვს, რომ ავდგე და სასწრაფოდ გავაკეთო ისინი. სატანა ყველაფერს იზამს იმისათვის, რომ ლოცვას ჩამოგაშოროთ.

შუამავლობითი ლოცვა ნამდვილი ღვაწლია. ის ნამდვილი წინააღმდეგობაა სატანასთან ბრძოლაში. ის გადამწყვეტი ფაქტორია და სწორედ ამიტომ ებრძვის სატანა მას ასე ძლიერ.

დავუშვათ, რომ ჩაბნელებულ ქუჩაზე ვიღაც თავს დაგესხათ და თქვენთან ჭიდაობა დაიწყო. ჯიბიდან დანას თუ ამოიღებდა, მთელი ბრძოლა უეცრად ერთ რამეზე იქნებოდა ორიენტირებული - დანის გაკონტროლებაზე. უცებ დაივიწყებდით მისთვის ცხვირში დარტყმას. ეცდებოდით მაჯა ამოგეტრიალებინათ მისთვის, რომ დანის დაჭერა ვეღარ შეძლებოდა. ეს ყველაფერი კი იმის გამო, რომ დანა გახდა ამ ბრძოლის გადამწყვეტი ფაქტორი.

სატანამ იცის, რომ ლოცვა გამარჯვებას მოგანიჭებთ და ის დამარცხდება. მან იცის, რომ ეს გადამწყვეტი ფაქტორია ამ სულიერ ბრძოლაში. ამიტომაც ლოცვის წინააღმდეგ მთელი ძალისხმევით კონცენტრირდება. ის ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ლოცვაში ხელი შეგიშალოთ და აღარ ილოცოთ.

დაჟინება

თუ თქვენს ლოცვებზე პასუხები დაუყოვნებლივ არ მოდის, არ დანებდეთ! პავლე საუბრობს ეპაფრაზე, რომელიც „მხურვალედ იღწვის“ კოლოსელებისთვის ლოცვაში (კოლოსელთა 4:12). მე არ მჯერა, რომ ეპაფრამ ასე ილოცა: „უფალო, აკურთხე ეკლესია კოლოსაში, იესოს სახელით. ამინ!“ პირიქით, ის ელოდა ღმერთს, გულმოდგინედ ეძებდა ღმერთს ამ ეკლესიის კეთილდღეობისა და სარგებლობისთვის და აგრძელებდა ყოველდღიურ ლოცვას. იაკობის 5:16 ამბობს, რომ „ბევრი რამ ძალუძს მართლის გულმოდგინე ლოცვას.“

ბევრჯერ ძალიან მალე ვნებდებით. როდესაც სატანა ძალაუფლების დაკარგვას იწყებს, ის ბოლო სასოწარკვეთილ დარტყმას ახორციელებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ძალიან ხშირად გამარჯვების მოპოვებამდე ვიღლებით და ვნებდებით.

ბატონი კარნიგი თავის წიგნში, "როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და მოვახდინოთ გავლენა ადამიანებზე", მოგვითხრობს აღმოსავლეთიდან ჩამოსული მდიდარი სადაზღვეო აგენტის, ბატონი დარბის შესახებ, რომელსაც ოქროს ციებ-ცხელება შეეყარა და კოლორადოში გაემგზავრა. მან როკის მთებში ძიების შედეგად ოქროს ძალიან მდიდარი საბადო აღმოაჩინა. ის აღმოსავლეთში დაბრუნდა და ყველა მისი მეგობარი დაარწმუნა, რომ ფული სამთო საწარმოში ჩაედოთ. მათ კორპორაცია შექმნეს, დიდი აღჭურვილობა შეიძინეს და კოლორადოში ძალიან მდიდარი საბადოში ოქროს მადნის მოპოვება დაიწყო.

ოქროს საბადო დაახლოებით იმ დროს ამოიწურა, როდესაც კორპორაციამ მთელი თავისი ვალი გადაიხადა. ინვესტორები აგრძელებდნენ თხრას, სანამ ისევ ვალებში არ ჩავარდნენ. ბოლოს, ერთ დღეს, გულგატეხილმა ბატონმა დარბიმ თხრის შეწყვეტა ბრძანა.

მაღარო დახურა, დენვერში ჩავიდა და მაღარო და აღჭურვილობა გადამყიდველს რამდენიმე ასეულ დოლარად მიჰყიდა. ბატონი დარბი სახლში დაბრუნდა.

გადამყიდველმა მაღაროსა და მიმდებარე ტერიტორიის შესასწავლად გეოლოგი დაიქირავა. გეოლოგმა მოახსენა: "თუ 1 მეტრს გათხრით იმ ადგილიდან, სადაც ბატონი დარბი გაჩერდა, ოქროს კიდევ იპოვით." გადამყიდველი კოლორადოს შტატში ყველაზე მდიდარი მაღაროს მფლობელი გახდა. კიდევ ერთი მეტრი! საინტერესოა, ჩვენც რამდენჯერ ვჩერდებით გამარჯვებამდე ერთ მეტრში.

დაიმკვიდრე აღთქმები

იესო ქრისტეს მეშვეობით ლოცვის შესახებ ბევრი ფანტასტიკური დაპირება მოგვეცა.

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც მიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. და რასაც გახსნით მიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც. კვლავ ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ორი თქვენგანი შეთანხმდება ამ ქვეყნად და ერთად ითხოვს რასმე, მაშინ, რასაც უნდა ითხოვდნენ, მიეცემათ მათ ჩემი მამისგან, რომელიც ზეცაშია“ (მათე 18:18-19).

რაოდენობა ლოცვაში: ორი თქვენგანი. ლოცვის ადგილი: დედამიწაზე. ლოცვის სფერო: ნებისმიერი რამ "მიეცემათ მათ ჩემი მამისგან, რომელიც ზეცაშია." ეს დიდებული დაპირებაა!

იესო ასევე დაგვპირდა:

„გქონდეთ ღმერთის რწმენა! ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ვინც ამ მთას ეტყვის, აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, გულში კი არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, ექნება მას. ამიტომ გეუბნებით, ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ, და მოგეცემათ“ (მარკოზი 11:22-24).

რა საოცარი დაპირებაა! იესომ ასევე თქვა:

„რასაც ჩემი სახელით ითხოვთ, გავაკეთებ, რათა განდიდდეს მამა ძეში. თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, მე გავაკეთებ“ (იოანე 14:13-14).

ნებისმიერი რამ!

მომვედნო დაპირება: „თუ ჩემში დარჩებით და ჩემი ნათქვამი თქვენში დარჩება, ითხოვეთ, რასაც ისურვებთ და გექნებათ“ (იოანეს 15:7). ასევე „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რასაც სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მოგეცემათ. ჯერ ჩემი სახელით არაფერი გითხოვიათ. ითხოვეთ [ბერძნულში იგულისხმება „გთხოვთ, ითხოვეთ“] და მიიღებთ, რათა სრულყოფილი იყოს თქვენი სიხარული“ (იოანე 16:23-24).

ლოცვისთვის ძალიან აშკარა დაპირებებია, მაგრამ ვის მიეცა ეს დაპირებები? იესო აქ არ ესაუბრებოდა ზოგადად ხალხს. ნებისმიერ შემთხვევაში, იესო თავის მოწაფეებს ესაუბრებოდა.

ვინ ითვლება მოწაფედ? იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: „ვისაც უნდა, რომ გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს მე“ (მათე 16:24). ადამიანს, რომელმაც საკუთარი თავი უარყო, აიღო ჯვარი და იესო ქრისტეს მიჰყვება, შეუძლია ეს დაპირებები მიიღოს და მათზე პრეტენზია განაცხადოს. რასაც ის ითხოვს, მოისურვებს ან ინატრებს, შესრულდება.

მაგრამ, საკუთარი თავის უარყოფის გამო მოწაფე იმას აღარ ეძებს, რაც მის ხორცს განადიდებს. სწორედ ის ფაქტი, რომ მან თავისი ჯვარი აიღო, აჩვენებს იმას, რომ ის საკუთარ დიდებას არ ეძებს, არამედ საკუთარ თავს ქრისტესთან ერთად ჯვარცმულად (მკვდრად) თვლის. ის ახლა მხოლოდ იმაშია იდენტიფიცირებული, რაც ღმერთს სურს: საკუთარი თავის, მისი ამბიციების და მისი ცხოვრების მთლიანად იესო ქრისტესადმი მიძღვნა. ლოცვის ჭეშმარიტი მიზანი ყოველთვის არის: „მაგრამ არა ჩემი, არამედ შენი ნება იყოს“.

შენს ლოცვებთან დაკავშირებით ღვთის ძლევამოსილ დაპირებებზე წვდომას მხოლოდ საკუთარი თავის უარყოფით, ჯვრის აღებითა და იესო ქრისტეს მიმდევრობით მიიღებ.

როდესაც პასუხია „არა”

უფალმა შეიძლება არ მოგვცეს ის, რასაც ვითხოვთ, როდესაც მას ჩვენს ცხოვრებაში აღმატებული მიზანი აქვს.

მოსე ლოცულობდა, რომ ღმერთს მისთვის აღთქმულ ქვეყანაში შესვლის ნება მიეცა. ღმერთმა თქვა: "არა, მოსე. ხალხის გულისთვის შენ ვერ შეხვალ ამ მიწაზე. შენ არასწორად წარმომაჩინე ამ ხალხის წინაშე. ახლა მათ უნდა ისწავლონ მორჩილების გაკვეთილი." მოსეს - ამ ძლევამოსილ სულიერ გიგანტს, რომელიც პირისპირ ესაუბრებოდა ღმერთს - არ მიეცა აღთქმულ ქვეყანაში შესვლის უფლება (რიცხვები 20:7-12).

მას შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, მშობლები შვილებს მოსეს, ღვთის კაცის, ისტორიას უყვებოდნენ, რომელიც ღმერთმა ისრაელის შვილების ეგვიპტიდან გამოსახსნელად და საკუთარ მიწაზე მისაყვანად გამოიყენა. ისინი ყვებიან მოსეს შესახებ, რომელიც ავიდა მთაზე და ცეცხლისა და ჭექა-ქუხილის შუაგულში ღვთის რჯული მიიღო; მისი სახე ისე ბრწყინავდა, რომ რიდეთი უნდა დაეფარა; მან კვერთხი გაიწოდა და წითელი ზღვა გაიყო. შემდეგ კი შვილებს ჩურჩულით ეუბნებოდნენ: „მაგრამ მოსემ ვერ შეძლო აღთქმულ მიწაზე შესვლა, რადგან ღმერთს არ დაემორჩილა“. ღმერთმა მოსეს ლოცვას იმიტომ არ უპასუხა, რომ ისრაელი ერის მომავალ თაობებისთვის სრული მორჩილების მნიშვნელობის გაკვეთილი ესწავლებინა.

პავლეს სხეულში არსებული ეკლის შესახებ ვფიქრობდი. მან თქვა: "სამჯერ შევევედრე უფალს, რომ განეშორებინა", მაგრამ ღმერთმა არ იხსნა იგი. რატომ? ღმერთმა პავლეს უამრავი გამოცხადება მისცა და ეს ხორციელი ეკალი აუცილებელი იყო მისი სიმდაბლის შესანარჩუნებლად. „ეკალი მომეცა სხეულში, სატანის ანგელოზი, რომ დამქენჯნოს - რათა არ გავმედიდურდე“. პავლემ თქვა: „ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხნი ჩემს უძლურებებში, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში!“ (2 კორინთელთა 12:7-10). სინამდვილეში, პავლემ სიხარული ამ დამლპალი ეკალით ისწავლა, რადგან მან თავისი უძლურების შედეგად ღმერთის ძლიერი ძალა გამოსცადა.

დაფიქრდით იესოს უპასუხოდ დარჩენილ ლოცვაზე. თუმცა მან სამჯერ ილოცა - „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი“ (მათე 26:39) - მაგრამ მაინც შესვა. რატომ? იმიტომ, რომ ღმერთს სურდა თითოეული ჩვენგანისთვის ხსნა მოეტანა. უნდა აღინიშნოს, რომ მართალია იესომ მამის წინაშე ილოცა, მაგრამ დაამატა ის, რაც ყოველი ლოცვის დროს ასე მნიშვნელოვანია: „მაგრამ იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი“ (ლუკა 22:42). ესაა მორჩილებისა და ლოცვის გასაღები: "უფალო, აი, რა მინდა. აი, ჩემი სურვილი. მიუხედავად ამისა, შესრულდეს არა ჩემი ნება, არამედ შენი ნება". ამას ვერ გააუმჯობესებთ! ვინაიდან ლოცვის ნამდვილი მიზანი არასდროს არაა ჩემი ნების შესრულება, არამედ - მისი.

არაეფექტური ლოცვები

ბევრი ლოცვაა არაეფექტური, რომლებიც, როგორც ჩანს, არაფერს იძლევა. ისინი მაღლა ადიან, და მაინც, არაფერი ჩამოაქვთ დაბლა. ღმერთი ლოცვას პასუხობს. სწორედ ესაა ყველა ლოცვის შთაგონება. რადგან ღმერთმა თუ არასოდეს უპასუხა ლოცვას, აღარავინ ილოცებდა. მაგრამ რატომ აღევლინება ამდენი ლოცვა ასე უშედეგოდ?

ზოგიერთმა რამემ თქვენი ლოცვები შეიძლება რეალურად შეაფერხოს და ეფექტური აღარ იყოს. უპირველეს ყოვლისა, თუ დაფარულ ცოდვაში ხართ, თქვენი ლოცვა

შეფერხებულია. ესაიამ თქვა: „ აჰა, არ დამოკლებულა უფლის ხელი, რომ იხსნას და არ დამძიმებულა მისი ყური, რომ ისმინოს! არამედ თქვენი ურჯულოება გახდა გამყოფი თქვენსა და თქვენს ღმერთს შორის“ (ესაია 59:1-2).

ყოველთვის, როდესაც ჩემი ლოცვები უპასუხოდ რჩება, მინდა ღმერთი დავადანაშაულო. მაგრამ სინამდვილეში, ჩემი ბრალია. ჩემს კარზე ცოდვაა. დავითმა თქვა, რომ "სიმრუდე რომ შეემჩნია ჩემს გულში, არ შეისმენდა უფალი," როცა ვლოცულობო (ფსალმუნი 66:18).

ცოდვა, როგორც ესაიამ თქვა, წყვეტს შენს კავშირს ღმერთთან. ტელეფონის კაბელის გაჭრას ჰგავს. შეგიძლიათ აკრიფოთ ის ნომერი, რომელიც გსურთ. შეგიძლიათ ისაუბროთ მჭევრმეტყველურად და ძალიან დამაჯერებლად, თუმცა, გადაჭრილია კაბელი. მესიჯი უბრალოდ მიწაში ჩადის და არსად არ მიდის.

ამ დროს ლოცვა ხდება ცრუ. ბევრი ამბობს: „ვიცი, რომ არ ვცხოვრობ ისე, როგორც უნდა ვცხოვრობდე, მაგრამ მაინც ვლოცულობ“. მაგრამ მათ ლოცვებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ღმერთთან მათი ურთიერთობა გაწყდა მათ ცხოვრებაში ცოდვის გამო. მათი ცოდვები მათსა და მათ ღმერთს შორის დისტანციას ზრდის.

არაეფექტური ლოცვების კიდევ ერთი მიზეზი მიუტევებელი სულია. იესომ ბევრი რამ ასწავლა პატიების შესახებ. როდესაც ლოცვის ნიმუში მოგვცა, ბოლოს ხაზი ერთ პუნქტს გაუსვა. „თუ თქვენ არ აპატიებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენი ზეციერი მამა გაპატიებთ თქვენს შეცოდებებს“ (მათე 6:15). მნიშვნელოვანია პატიება, რადგან არ შეგიძლიათ ღმერთთან მისვლა დის ან ძმის მიმართ სიძულვილით, ისე რომ არ შეაფერხოთ საკუთარი ურთიერთობა ღმერთთან.

არაეფექტური ლოცვები ასევე შეიძლება ეგოისტური მოტივის შედეგი იყოს. იაკობმა თქვა: „არა გაქვთ, რადგან არ ითხოვთ“ (იაკობი 4:2). მართალია, ხშირ შემთხვევაში უბრალოდ არ ლოცულობთ. ბევრჯერ გადმოუღვრიათ ადამიანებს გულიდან თავისი საშინელი დარდის ისტორია. შევეკითხები: "ილოცე?" "ნუ, არა." სწორედ აქედან იწყება! არ გაქვს იმიტომ, რომ არ ითხოვ.

შემდეგ იაკობმა თქვა: „ითხოვთ და ვერ იღებთ...“ - აქ ვაწყდებით პრობლემას - „რადგან ბოროტი განზრახვით ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმებისთვის გაფლანგოთ“ (იაკობი 4:3). ბევრი ლოცვის მიღმა ეგოისტური სურვილებია.

როდესაც დამამთავრებელ კლასებში ვსწავლობდი, ვლოცულობდი, რომ ღმერთს მშვენიერი პატარა 1936 წლის გამარიაჟებული ფორდი მოეცა. ო, როგორ გულისთქმით ვნატრობდი იმ მანქანას! ღმერთს ყველა სიკეთე ჩამოვუთვალე, რასაც მისთვის გავაკეთებდი - ბავშვებს რომ წავიყვანდი საკვირაო სკოლაში - თუ ის უბრალოდ მომცემდა ამ მანქანას. როგორ შეეძლო ამის ხელიდან გაშვება?

არ მესმოდა და ვიცი რატომაც. ღმერთი ხედავდა, გონებაში რაც მიტრიალებდა - გიმნაზიის ირგვლივ, კამპუსში ჩემი ლამაზმანით გამოვჩნდებოდი და სმიტის მაყუჩების ახმაურებით ყველა ლამაზი გოგოს ყურადღებას მივიპყრობდი. ღმერთმა იცოდა, რომ სპეციალური დაკვეთის 1936-იანი Ford-ი სიამაყეს გამიღვიძებდა. ასე რომ, მან Model-A მომცა.

ჩვენი უამრავი ლოცვა საკუთარ თავზეა ორიენტირებული. როგორც უკვე აღვნიშნე, მაქვს საჭიროებები, რისი დაკმაყოფილებაც ღმერთს სურს. ამისთვის უნდა ვილოცო, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყო, რომ ყველა ჩემს ლოცვას არ ჰქონდეს მხოლოდ საკუთარი თავი, როგორც ძირითადი მოტივი.

სასარგებლო მინიშნებები

ქვემოთ მოცემულია ლოცვის რამდენიმე წესი, რომლებიც ეფექტურად მივიჩნიე. უპირველეს ყოვლისა, ღვთის ნება აქციეთ ლოცვად. როგორ? აღმოაჩინეთ ღვთის ნება მისი სიტყვის მეშვეობით. ღმერთმა მისი ნება, მიზანი და გეგმა ბიბლიაში გამოგიცხადათ. წმინდა წერილის მიხედვით ილოცეთ. ძალიან ბევრჯერ ლოცვა მხოლოდ მონოლოგია - და მხოლოდ თქვენ საუბრობთ, მაგრამ ეს მოზიარეობა არ არის. მოზიარეობა დიალოგია, საუბარი და მოსმენა, როდესაც ღმერთი თავის სიტყვაში გელაპარაკებათ.

ღმერთს თქვენი და თქვენი გარშემომყოფების საჭიროებები მოუყევით. მის წინაშე გამოხატეთ, რასაც ხედავთ, რასაც გრძნობთ და რაც გსურთ. შემდეგ მიუბრუნდით სიტყვას და ღმერთი დაგელაპარაკებათ. ის მოგემსახურებათ და გაჩვენებთ თავის ნებას და გეგმას თქვენი ცხოვრების შესახებ.

შემდეგ კვლავ მიდით მასთან: „კარგი, უფალო, აი, ეს არის შენს სიტყვაში. ვხედავ, რომ ეს ისაა, რაც შენ გსურს, ამიტომ ამას ვიღებ იესო ქრისტეს სახელით.“ ისწავლეთ როგორ მოისმინოთ ღმერთის ხმა, როდესაც თავისი სულით გელაპარაკებათ. დაბადების 32 თავში, როდესაც იაკობმა გაიგო, რომ მისი ძმა ესავი, რომელმაც მისი მოკვლის აღთქმა დადო, მასთან შესახვედრად ოთხასი კაცით მიდიოდა, სიკვდილის შეეშინდა. ამან ლოცვისკენ უბიძგა და ლოცვისას ღმერთს მისი აღთქმა შეახსენა. თქვა იაკობმა: „მამაჩემის, აბრაჰამის ღმერთო… უფალო, რომელმაც მითხარი: დაუბრუნდი შენს სამშობლოს, შენს სახლეულს და სიკეთეს გიყოფო” (დაბადება 32:9). იაკობი ღვთის სიტყვის საფუძველზე ლოცულობდა.

ლოცვა მამისადმი უნდა იყოს მიმართული, იესოს სახელის ძალაუფლებით. ფაქტობრივად, დამოუკიდებლად ღმერთთან წარდგომის უფლება არ გვაქვს. ასეთი პრივილეგიის მიღება არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია. ერთადერთი გზა, რომლითაც შეგვიძლია მამის წინაშე წარვდგეთ, იესო ქრისტეა. მან თქვა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე: ვერავინ მივა მამასთან, თუ არა ჩემით“ (იოანე 14:6).

სთხოვეთ მამას თქვენი საჭიროებები, მაგრამ - იესო ქრისტეს სახელით. მხოლოდ იესო ქრისტეს მეშვეობით გაქვთ მამასთან მისვლის უფლება, მხოლოდ იესოს გამო გისმენენ და მიგიღეს. როცა დააკაკუნებთ, იესოს სახელი გამოიყენეთ. თუ მის კარზე დავაკაკუნებ და ვეტყვი: „მამაო, ჩაკი ვარ. შენთან საუბარი მინდა“.

მას შეუძლია მიპასუხოს: "ვინ ჩაკი? ჩემს კარზე დაკაკუნების უფლება ვინ მოგცა?"

მაგრამ თუ დავაკაკუნებ და ვეტყვი: "მამა, ჩაკი ვარ და იესოს სახელით მოვედი". პასუხი იქნება: "მოდი ჩაკ, სასიამოვნოა შენი მოსმენა."

გამოიყენე შენი იარაღი

ლოცვით უფრო მეტი გამარჯვება მოიპოვება, ვიდრე ნებისმიერი სხვა საშუალებით. შემაძრწუნებელია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ღმერთმა ასეთი ძლიერი იარაღი მოგვცა, ჩვენ ისევ და ისევ ვმარცხდებით - პრობლემა იმაშია, რომ ისეთ იარაღს ვფლობთ, რომელსაც იშვიათად ვიყენებთ.

ჩვენ, როგორც ქრისტიანები, ხშირად ვცდილობთ დავიცვათ ჩვენი იარაღი. მაგალითად, როდესაც ადამიანები ბიბლიის წინააღმდეგ კამათობენ, ჩვენ ვიწყებთ მის დაცვას. ბიბლია დიდი იარაღია, ბასრი ორლესული მახვილი. ნუ დაიცავ მას, გამოიყენე იგი! თუ დუელში ხარ, მოწინააღმდეგეს არ დაუწყებ: "ჯობია ფრთხილად იყო, ამ ხმალს ქალაქში ყველაზე ბასრი ფოლადი აქვს. ის სუპერ წვრილ კიდემდეა დახვეწილი". მახვილი კი არ უნდა დაიცვა, უნდა გამოიყენო!

ანალოგიურად, ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობთ ჩვენი ლოცვის იარაღზე. ლოცვაზე ნუ ლაპარაკობ. ილოცე. გამოიყენეთ ის იარაღი, რომელიც ღმერთმა მოგცათ და გაიმარჯვეთ მტერზე!

2. ლოცვის მიზანი

როგორ გვჭირდება ლოცვა! არა იმიტომ, რომ მასზე ვისაუბროთ; არც იმიტომ, რომ მის შესახებ კონფერენციები გავმართოთ, არამედ რეალურად ვაპრაქტიკოთ ლოცვის პრივილეგია.

პავლემ თქვა: „იყავით მტკიცენი ლოცვაში“ (კოლასელთა 4:2). ბერძნული სიტყვა „მტკიცენი“ გამძლეობასა და მუდმივობას გულისხმობს. გულმოდგინედ ილოცეთ.

რატომ არის საჭირო მდგრადობა ლოცვაში? ზოგიერთი ამბობს, რომ ერთსა და იმავე საჭიროებაზე ბევრჯერ ლოცვა ჩვენი მხრიდან რწმენის ნაკლებობას გამოხატავს. მიუხედავად ამისა, გეთსიმანიის ბაღში იესომ ერთი და იგივე საკითხზე სამჯერ ილოცა (მათე 26:39-44).

ასევე, მის სხეულში არსებულ ეკალზე საუბრისას, პავლე მოციქულმა თქვა: „ამისათვის სამჯერ შევევედრე უფალს, რომ განმაშოროს იგი” (2 კორინთელთა 12:8).

იესომ ლოცვაში დაჟინებულობის შესახებ ორ იგავში ასწავლა. პირველად „უთხრა მათ იგავი იმის შესახებ, რომ ყოველთვის უნდა ილოცონ და არ მობეზრდეთ“ (ლუკა 18:1), შემდეგ კი გულქვა მოსამართლისა და შეუპოვარი ქვრივის ისტორია მოყვა. ქვრივი ყოველდღე სტუმრობდა მოსამართლეს და ეუბნებოდა: „შური იძიე ჩემს მოწინააღმდეგეზე.”

მოსამართლემ, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთისა და კაცის არ ეშინოდა, თქვა: „რაკი ეს ქვრივი აღარ მასვენებს, დავიცავ, რომ აღარ მოვიდეს და არ გამტანჯოს“. ასე რომ, მან განაჩენი მის სასარგებლოდ გამოიტანა.

შემდეგ იესომ დაამატა: „მაშ, განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულებს? თქვენ გეუბნებით: მალე დაიცავს მათ“ (ლუკა 18:2-8).

თავიდან გამიჭირდა იმ ფაქტის გაგება, რომ იესომ ჩვენს სამართლიან ღმერთთან შესადარებლად უსამართლო მოსამართლე გამოიყენა, მაგრამ იგავი რეალურად უზარმაზარ კონტრასტს აჩვენებს. თუ უსამართლო მოსამართლე ქალის დაჟინებით შეიძლება ამოქმედდეს, მით უმეტეს, ჩვენი სამართლიანი და მოსიყვარულე მამა სამართლიან და სწრაფ განაჩენს გამოიტანს მათთვის, ვინც მას მოუხმობს.

ლოცვაში დაჟინების შესახებ მეორე იგავი ეხება ადამიანს, რომელმაც შუაღამისას კარზე კაკუნი გაიგონა. კარი გააღო და შეიტყო, რომ რამდენიმე მისი მეგობარი ღამის გასათევად იყო მოსული. დაწოლამდე მათი გამოკვება სურდა, კარადასთან მივიდა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ პური არ ჰქონდა. მივიდა მეზობლის სახლთან, კარზე დააკაკუნა და უთხრა: „მასესხე სამი პური, რადგან ნამგზავრი მეგობარი მესტუმრა და არაფერი გამაჩნია, რომ შევთავაზო!“

მეზობელმა უპასუხა, ცოლ-შვილთან ერთად უკვე საწოლში ვარ, ხვალ დაბრუნდიო, მაგრამ ის აკაკუნებდა და არ გაჩერდა მანამ, სანამ არ მიიღო ის, რაც სჭირდებოდა. ამ კაცის გულმოდგინების გამო ბოლოს მეზობელი ადგა და პური მისცა (ლუკა 11:5-10).

ვხედავთ, რომ ბიბლია ლოცვაში დაჟინებას ასწავლის. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ღმერთს რასაც გვინდა, იმას გავაკეთებინებთ? ის თავისებური უნებლიეობით გვცემს პასუხს? ვაიძულებთ თუ არა, რომ ჩვენს დაჟინებულ და შემაწუხებელ მოთხოვნებს დამორჩილდეს? არამგონია.

დარწმუნებული ვარ, რომ ლოცვები არ და ვერ ცვლის ღვთის მიზნებს, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დღის განმავლობაში ლოცულობთ და მხურვალე ცრემლებით ითხოვთ. ღმერთი ზედმეტად მოსიყვარულეა იმისათვის, რომ თქვენმა ტირილმა და დაჟინებამ თქვენთვის საზიანო და საბოლოოდ გამანადგურებელი რამ მოაცემინოს.

ლოცვა ღმერთის მიზანს არ ცვლის, მაგრამ შეუძლია ღმერთის მოქმედება შეცვალოს.

იესომ თქვა: „თქვენმა მამამ მანამდე იცის, რა გჭირდებათ, ვიდრე თხოვდეთ “ (მათე 6:8). ლოცვა თქვენი მდგომარეობის შესახებ ღმერთის ინფორმირება არაა. თხოვნამდე უკვე იცის თქვენი ყველა საჭიროება. ლოცვები კარს ხსნის და ღმერთს შესაძლებლობას აძლევს ის გააკეთოს, რაც მას უკვე სურდა, მაგრამ თქვენი თავისუფალი ნების წინააღმდეგ არ გააკეთებდა.

იოანეს 15:16-ში იესომ თავის მოწაფეებს უთხრა:

„თქვენ არ აგირჩევივართ, არამედ მე აგირჩიეთ და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ და თქვენი ნაყოფი დარჩეს, რათა, რასაც კი სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მან მოგცეთ თქვენ.“

აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია მან მოგცეთ ის, რასაც ითხოვთ. ღმერთმა თქვენი სურვილები და მოთხოვნილებები იცის და მათი დაკმაყოფილება სურს. ლოცვა კარს ხსნის, რათა ღმერთმა იმის გაკეთება შეძლოს, რაც სურს. ეს ღმერთისთვის თანხმობის მიცემაა იმის გასაკეთებლად, რაც მას ჩემს ცხოვრებაში სურს. ღმერთმა თავისუფალი ნება მიბოძა და მას არ დაარღვევს. ამრიგად, მე უნდა ვითხოვო, რათა მივიღო.

ღმერთმა იცის, რომ ერთ წელიწადში კონკრეტული რამ დამჭირდება, რადგან მან ზუსტად იცის ჩემი ყველა სამომავლო საჭიროება. მე კი ერთი თვის შემდეგაც არ ვიცი რა შეიძლება დამჭირდეს. თუ ღმერთმა დღეს მომცა ის, რაც ერთ წელიწადში დამჭირდება, მაშინ შეიძლება ისე არ გამოვიყენო, როგორც მას სურს.

ასე რომ, როდესაც ჩემს საჭიროებებს ვაცნობიერებ, ღმერთს შევღაღადებ: „დამეხმარე და ახლა დააკმაყოფილე ეს საჭიროება“. ბოლოს და ბოლოს გავაცნობიერე პრობლემა, რომელიც ღმერთმა ყოველთვის იცოდა. ახლა, როდესაც დახმარებას ვთხოვ, თავისუფლად მომცემს, რაც მჭიდება, რადგან მას ისე გამოვიყენებ, როგორც უფალს სურს.

ღმერთის დრო

ზოგჯერ ჩვენს ლოცვებზე პასუხი თითქმის წარმოთქმისთანავე მოდის. აბრაამმა მსახური ელიაზარი გაგზავნა სპეციალური მისიით: ისააკისთვის ცოლის მოსაძებნად. როცა ერთ ჭასთან მივიდა, ელიაზარმა თქვა: „უფალო, დაე, აქ ახალგაზრდა ქალწული მოვიდეს წყლის ამოსაღებად და როდესაც ვეტყვი: სასმელი მომეცი-მეთქი, დაე, მიპასუხოს: არა მხოლოდ შენ მოგცემ წყალს, არამედ შენს აქლემებსაც დავარწყულებო. და უფალო, ეს ის იყოს, ვინც ისააკისთვის საპატარძლოდ აირჩიე.“

როცა მსახური ჯერ კიდევ გულში ლოცულობდა, ჭიდან წყლის ამოსაღებად ახალგაზრდა გოგონა მივიდა. ელიაზარმა უთხრა: მომეცი სასმელი. მან სწრაფად დაუშვა დოქი თავიდან, წყალი დაალევინა და თქვა: „არა მარტო შენ, არამედ შენს აქლემებსაც დავარწყულებ“ და წყალი აქლემებისთვისაც ამოიღო (დაბადება 24:1-20).

ეს ერთ-ერთია ლოცვის იმ მშვენიერი და მყისიერი პასუხებიდან, რომელიც ყოველთვის გვახარებს. ღმერთი ლოცვებს იმაზე სწრაფად პასუხობს, ვიდრე ისინი ჩვენს გულებს დატოვებენ.

ამავდროულად, ისეც ხდება, რომ მრავალი წელი ვლოცულობდით გარკვეული საჭიროებისთვის, მაგრამ უპასუხოდ.

რატომ ხდება, რომ ზოგიერთ ლოცვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მოდის,ზოგიერთზე კი თითქოს დაგვიანებულია? ზოგიერთი ადამიანისთვის ვლოცულობთ და იკურნებიან, სხვებისთვის ვლოცულობთ, მაგრამ კვდებიან.

პირველ რიგში, ეს იმას გვაჩვენებს, რომ ჩვენ ვერაფერს ვაკონტროლებთ. ღმერთი აკონტროლებს ყველაფერს და თავისი მიზნისა და ნების შესაბამისად მოქმედებს. ლოცვა ღვთის მიზნების შემცვლელად არასოდეს უნდა ჩაითვალოს.

ძალიან მცდარი წარმოდგენა გვაქონია ლოცვაზე, თუ ვფიქრობთ, რომ ის ღვთის აზროვნებისა და მიზნების შეცვლას ან ჩემი ნების შესრულებას იწვევს. ლოცვის ჭეშმარიტი მიზანი ღვთის ნების შესრულებაა - კარის გაღება ღმერთისთვის, რათა აღასრულოს ის, რაც განიზრახა.

ამრიგად, მივდივართ დასკვნამდე, რომ ჭეშმარიტი ლოცვა ღვთის გულში იწყება. ღმერთი მაცნობებს, თუ რა არის მისი მიზანი, სურვილი, საწადელი. ჩემი ლოცვით ამ ყველაფერს ისევ ღმერთს ვუბრუნებ და ციკლი სრულდება. როცა ამგვარად ვლოცულობ, ღვთის ნებასთან ვარ შეთანხმებული. 1 იოანეს 5:14,15-ში ვკითხულობთ:

„და აჰა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან.“

სინამდვილეში, ხშირად მე თვითონ ვიცვლები ლოცვით. ბევრჯერ, როცა ვლოცულობ, ღმერთი მელაპარაკება და თავის გზასა და მის გეგმას მიჩვენებს, რომელიც ყოველთვის ბევრად უკეთესია, ვიდრე მე წარმომედგინა. მაჩვენებს ზოგიერთი რამის უგუნურებას, რასაც დაჟინებით ვითხოვდი, პრაქტიკულად, მოვითხოვდი მისგან. მე კი ვპასუხობ: „გმადლობ, უფალო, რომ არ მიპასუხე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.“ მან ყოველთვის იცოდა რა იყო ჩემთვის საუკეთესო! ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე, როცა უკან ვიხედები, ისეთივე მადლობელი ვარ იმ ლოცვებისთვის, რომლებსაც ღმერთმა არ უპასუხა, როგორც მათთვის, რომლებსაც უპასუხა.

ღმერთს ამ დედამიწაზე გეგმა აქვს და თავისი საქმის შემსრულებელ ინსტრუმენტებად ადამიანები აირჩია. ზოგი ამბობს, რომ ღმერთი ადამიანის გარეშე ვერ იმოქმედებს. ეს სიცრუეა. ადამიანის გამოყენება ღმერთის არჩევანია. მას შეუძლია ნებისმიერი ხერხით იმოქმედოს. ღმერთს ადამიანი ვერ შეზღუდავს. ჩვენ თუ ვმარცხდებით, ღმერთი არ მარცხდება. ისტორია გვიჩვენებს, რომ ღმერთი ანგელოზებსაც იყენებდა დედამიწაზე თავისი საქმის შესასრულებლად; მაგ. როგორიცაა სოდომისა და გომორას განადგურება.

ღვთის განზრახვის ჩაშლის მძიმე პასუხისმგებლობა რომელიმე ადამიანს არ უნდა დავაკისროთ. ხანდახან გვესმის ნათქვამი: „თუ ღვთის მიზნებს ვერ შეასრულებთ, მისი გეგმა ჩავარდება და ეს თქვენი პასუხისმგებლობა იქნება! ღმერთის წინაშე უნდა წარდგეთ და ამ წარუმატებლობას პასუხი გასცეთ!“ ეს სიცრუეა. ღმერთი თავის განზრახვას სხვა გზითაც შეასრულებს.

ღმერთი თავისი ნების შესასრულებლად თქვენ გირჩევთ და ამით მასთან ერთად მუშაობით გამოწვეული სიხარულის განცდის კურთხეულ შესაძლებლობას გაძლევთ. შედეგების დადგომისას კი ისე გაჯილდოებთ, თითქოს თქვენ გააკეთეთ სამუშაო! როდესაც სამოთხეში მოხვდებით, ამ მიღწევებისთვის დაჯილდოვდებით, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი თავად ღმერთმა გააკეთა!

როდესაც ებრაულ რასას განადგურების სასტიკი საფრთხე ემუქრებოდა, მორდექაიმ ესთერს უთხრა: „რადგან თუ დადუმდები ასეთ დროს, მაშინ შვება და ხსნა სხვა მხრიდან მოვა ებრაელთათვის, შენ და მამაშენის სახლი კი დაიღუპებით...“ (ესთერი 4:14). აფრთხილებდა, რომ როდესაც ისინი ებრაელების მოსპობას დაიწყებდნენ, ის ბრძანებას ვერ გაექცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ სასახლეში ცხოვრობდა.

ანალოგიურად, როდესაც თქვენ ღვთის ნებას ვერ შეასრულებთ, ხსნა სხვა მხრიდან მოვა. ღმერთთან თანამშრომლობის კურთხევასა და ჯილდოს დაკარგავთ, მაგრამ ღვთის გეგმა და მიზანი არ ჩავარდება.

ღმერთს სურს გაკურთხოთ

მეორე ნეშტთა წიგნი მეფე ასას უფალთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს. როდესაც ის პირველად ავიდა ტახტზე, მეფე ძალიან მძიმე ვითარების წინაშე დადგა - ეთიოპიელები მისი ხალხის გარშემო დაბანაკებულიყვნენ. მეფე ასამ ღმერთს შესძახა:

„უფალო! მხოლოდ შენ შეგიძლია შეეწიო უძლურს ძლიერის წინააღმდეგ. შეგვეწიე უფალო,ღმერთო ჩვენო,რადგან შენს სახელზე მინდობილნი გამოვედით ამ ურდოს წინააღმდეგ. უფალო! ჩვენი ღმერთყი ხარ შენ,დაე ნურავინ შეძლებს შენზე აღმატებას!“ (2 ნეშტთა 14:11).

იცოდა, რომ მისი დაღუპვის შანსები ღმერთისთვის არაფერს ნიშნავდა. თუ ღმერთი ჩვენთანაა, ვინ შეიძლება იყოს ჩვენ წინააღმდეგ? ღმერთი და შენ უმრავლესობას შეადგენთ. უფალი იყო ასასთან, გამოვიდა მეფე და გაანადგურა ეთიოპიის ჯარები.

როდესაც მეფე ასა გამარჯვებიდან დაბრუნდა, წინასწარმეტყველი აზარია შეხვდა მას და უთხრა: „უფალი თქვენთანაა, როცა თქვენც მასთან ხართ. თუ ძებნას დაუწყებთ, იპოვით და თუ მიატოვებთ, ისიც მიგატოვებთ“ (2 ნეშტთა 15:2).

ასამ აყვავება დაიწყო. ის ძალიან ძლევამოსილი გახდა. მისი მეფობის მომდევნო წლებში მას კვლავ დაემუქრნენ. მაგრამ, ამჯერად, საფრთხე მოვიდა ბააშასგან, ისრაელის ჩრდილოეთ ტომების მეფისგან, რომელიც შემოსევისთვის ემზადებოდა და იერუსალიმის ჩრდილოეთით გამაგრებულ ქალაქებს აშენებდა. მეფე ასამ ხაზინადან ფული აიღო და სირიის მეფე ბენ-ჰადადის დასაქირავებლად გაგზავნა. ის ისრაელში ჩრდილოეთიდან უნდა შეჭრილიყო. ამის გამო ბააშამ თავისი ჯარების უკან დახევა ბრძანა და ისინი ჩრდილოეთ საზღვრის დასაცავად განალაგა. ამ ჭკვიანურმა და წარმატებულმა სტრატეგიამ იმუშავა. თუმცა ლოცვით უფლის ძიების ნაცვლად, ის ადამიანთა დახმარებას ეძებდა. წინასწარმეტყველი ჰანანი მივიდა მასთან და ამხილა, რომ ღმერთის მაგიერ იგი დახმარებას ადამიანისგან ეძებდა. წინასწარმეტყველმა მეფეს შეახსენა, თუ როგორ დაეხმარა მას უფალი ეთიოპინელების წინააღმდეგ მისი მეფობის დასაწყისში და განუცხადა:

„მთელ დედამიწას ადევნებს თვალს უფალი, რათა განამტკიცოს და მხარი დაუჭიროს მათ, ვინც მთელი გულით მასზეა მინდობილი. უგუნურად მოიქეცი, ამიტომ ამიერიდან ომები გექნება“ (2 ნეშტთა 16:9).

აქ ბიბლია ღმერთის ერთ-ერთ ძირითად ჭეშმარიტებას აცხადებს. ის ეძებს ხალხს, რომ აკურთხოს. ღმერთს სურს შენს ცხოვრებაში იმოქმედოს და გაკურთხოს. მას სურს გამოგიყენოს, როგორც მისი ერთ-ერთი გზა, როგორც მისი ერთ-ერთი ინსტრუმენტი, მაგრამ ის შენ გელოდება, რომ მის გეგმასთან შესაბამისობაში მოხვიდე. იმ მომენტში, როდესაც თქვენი ცხოვრება ღმერთის მიზნებთან ჰარმონიაში შედის, დამაკავშირებელი არხი ხდებით, რომლის მეშვეობითაც ღვთის ძალა და სიყვარული მიედინება სამყაროში, რომელსაც ეს ძალიან სჭირდება.

ღმერთი ისეთ ადამიანებს ეძებს, რომელთა გულიც მის სურვილებთან თანწყობაშია. ამგვარად, ყველაზე დიდი ლოცვაა: „უფალო, შენს ნებასთან ჰარმონიაში შემიყვანე“. ამაზე უკეთ ვერ ილოცებთ, მაგრამ ეს ტუჩების უბრალო მოძრაობაზე მეტი უნდა იყოს. გულიდან უნდა მოდიოდეს, რაც სულაც არაა მარტივი.

ძალიან ბევრი რამის გაკეთება მინდა, მაგრამ ჩემი მრავალი ლოცვა ეგოიზმს ირეკლავს. ჩემი თხოვნების უმეტესობა ისეთ რამეებს შეეხება, რაც კომფორტს, სიმსუბუქესა და ბედნიერებას მომანიჭებდა; მაგრამ ლოცვის ნამდვილი მიზანია ჩემს ცხოვრებაში ღვთის დასრულებული საქმე დავინახო და შემდეგ, ჩემი ცხოვრებით, სხვების ცხოვრებაში აღსრულდეს უფლის საქმე.

მჯერა, რომ ღმერთი განზრახული აქვს ბევრი რამის მოცემა, რისთვისაც ლოცულობთ, მაგრამ მისი დრო თქვენი მოლოდინისგან განსხვავებულია. ბევრჯერ თქვენს ლოცვებზე ღმერთი პასუხებს კარგი მიზეზით აყოვნებს.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ღმერთმა თქვენს ლოცვაზე შეიძლება პასუხის გაცემა დაიგვიანოს, ისაა, რომ მას იმაზე მეტის მოცემა სურს, რასაც თქვენ ითხოვდით იმ მომენტში.

ხანა ამის კარგი მაგალითია. ის წლების განმავლობაში უნაყოფო იყო. მის ქმარს მეორე მრავალშვილიანი ცოლი ჰყავდა. ხანას საკუთარი უნაყოფობა დღითი დღე უფრო აწუხებდა.

ერთ დღეს ხანა და მისი ქმარი ტაძარში მიდიოდნენ, მეორე ცოლი კი სახლში დარჩა ბავშვებთან ერთად. შილოში მოგზაურობისას, მისმა ქმარმა ჰკითხა: „ხანა, რატომ ხარ ასე მოწყენილი?“ მან უპასუხა: „ბავშვები მომეცი“.

მან უპასუხა: „ღმერთი ვარ, რომ შენთვის შვილების მოცემა შემეძლოს? განა შენთვის ბევრ ვაჟზე უკეთესი არ ვარ? კმაყოფილი არ ხარ ჩემით?“

როცა ჰანა კარავში მივიდა, მისი გულის ტანჯვა იმდენად დიდი იყო, რომ მისი თხოვნაც კი ვერ წარმოთქვა. ის იმდენად წუხდა, რომ მხოლოდ კარვის ეზოში ღვთის წინაშე წოლა შეძლო. ტუჩებს ამოძრავებდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა.

მღვდელმა ყელიმ ჩაიარა და უფლის წინაშე დამხობილი ჰანა დაინახა. მთვრალი ეგონა და უბრძანა, ღვინოს თავი აარიდეო. ჰანამ მიუგო: „არა, ბატონო, მთვრალი არ ვარ, მაგრამ უფლის მხევალი მწუხარეა, რადგან უნაყოფოა. ღმერთს ვევედრებოდი, ვაჟი მოეცა. თუ შეისმენს, დავპირდი, რომ ღმერთს მივუძღვნი მთელი თავისი სიცოცხლის დღეებით“ (1 მეფეთა 1).

ღმერთს ჰანასგან სწორედ ამის მოსმენა სურდა, რადგან თავისი კაცი სჭირდებოდა. ისრაელის ერი იმდენად კორუმპირებული იყო, რომ ირგვლივ ღმერთისთვის გამოსადეგარი არავინ მოიძებნებოდა. სანამ ღმერთი კაცს მიიღება, მას ქალი უნდა მიეღო. ამიტომ, ის ხანას გულს შეეხო.

ხანა მრავალი წლის განმავლობაში ლოცულობდა ვაჟისთვის - ვაჟი საკუთარი სიხარულისა და სიამოვნებისთვის, ვაჟი, რომელიც ბოლოს მოუღებდა მეორე ცოლისგან დამცირებებს. ხანა ლოცულობდა: „უფალო, მომეცი შვილი. წაიღე სირცხვილი“, მაგრამ საბოლოოდ მან ასე ილოცა: „თუ მოხედავ შენი მხევლის ტანჯვას და თუ გამიხსენებ, არ დაივიწყებ შენს მხევალს და ძეს მომცემ, უფალს მივუძღვნი მას მსახურად, ვიდრე ცოცხალი იქნება.“ საბოლოოდ ხანა ღვთის განზრახვებთან ჰარმონიაში მოვიდა.

მღვდელმა უთხრა: „წადი მშვიდობით, შეისმინა უფალმა შენი ლოცვა, შვილი გეყოლება“. ხანა სახლში წავიდა. ღმერთმა ვაჟი მისცა, სამუელი. იგი წინასწარმეტყველი, მღვდელი და ღვთის ხალხის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლიდერი გახდა ძველ აღთქმაში.

დიახ, ღმერთს ხანასთვის ვაჟის მიცამა სურდა, მაგრამ მის ლოცვებზე პასუხის გაცემა დააყოვნა, რომ მის გულში ეშრომა, სანამ მისი სურვილი უფლის განზრახვას არ დაემთხვეოდა.

ნუ გაგიცრუვდებათ იმედი, როცა ღმერთი თქვენს ლოცვებზე პასუხებს აყოვნებს. მას შეიძლება იმაზე მეტის მოცემა სურდეს, ვიდრე თქვენ ითხოვდით.

ღმერთმა პასუხის გაცემის სწორი დრო იცის. იესომ თავის მოწაფეებს უთხრა, „იერუსალიმს ნუ გაშორდებით, არამედ დაელოდეთ მამის მიერ აღთქმულს, ჩემგან რომ მოისმინეთ; რადგან იოანე წყლით ნათლავდა, თქვენ კი, არცთუ მრავალი დღის შემდეგ, მოინათლებით სულიწმიდით... თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე“ (საქმეები 1:4-5,8).

მას შემდეგ, რაც იესომ ეს თქვა, როცა მისი მიმდევრები მასთან ერთად იდგნენ ზეთანიის ზეთისხილის მთაზე, ის ზეცად ამაღლდა და ღრუბელმა მოაფარა მათ თვალთაგან.

მოწაფეები იერუსალიმში დაბრუნდნენ და ერთსულოვნად განაგრძეს ლოცვა. ბიბლია ამბობს, რომ ისინი მეერგასე დღის სრულად დადგომას ათი დღის განმავლობაში ელოდნენ. ღმერთისთვის შესაძლებელი იქნებოდა მათზე სულიწმიდა პირველ ათ წუთშიც მოევლინა, მაგრამ თავისი მიზნებისთვის ათ დღიანი მოცდა მიზანშეწონილად მიიჩნია (საქმეები 1-2).

რამდენ ხანს უნდა განაგრძო ლოცვა? სანამ პასუხს არ მიიღებ - ან კის ან არას.

მითითებები ლოცვაზე

კოლოსელებში პავლე მოგვიწოდებს, ვიფხიზლოთ, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „მღვიძარედ ყოფნას“. ლოცვისას ძილიანობა ჩვენი ხორცის ერთ-ერთი სისუსტეა. როდესაც იესო გეთსემანიის ბაღში ლოცულობდა და მობრუნდა, მძინარე მოწაფეები დაინახა. უთხრა: „ნუთუ ვერ შეძელით, ერთ საათს გეფხიზლათ ჩემთან ერთად?“ (მათე 26:40). ღმერთს სურს ჩვენი გონება მკაფიო და ფხიზელი იყოს, როდესაც მას ვესაუბრებით. ვფიქრობ, რომ ღმერთთან ნახევრად მღვიძარი გონებით საუბარი შეურაცხმყოფელია.

პავლე ასევე მოგვიწოდებს, ვილოცოთ „მადლიერებით“ (კოლასელები 4:2). ჩვენი ლოცვები ყოველთვის მადლიერებით უნდა იყოს შეკრული. ფსალმუნები ამის იდეალური მაგალითია.

დავითი ყველაფერზე ლოცულობდა ფსალმუნებში - თავისთვის, მეგობრებისთვის და მტრებისთვის. ასევე მან ფსალმუნები ღვთისადმი ქებითა და მადლიერებით აავსო. მათში თანაბრადაა მადლიერება და თხოვნა. ხანდახან, მაგრამ არც თუ ისე ხშირად, ადამიანები მოდიან ჩემთან და მეუბნებიან: „არანაირი პრობლემა არ მაქვს. მხოლოდ უფლის განდიდება მინდა შენთან ერთად! უფალი ძალიან კეთილი იყო ჩემ მიმართ და მინდა გითხრა, როგორ აკურთხა მან ჩემი ცხოვრება.“

ეს ძალიან ამაღელვებელია! როგორც პასტორი, იმდენ პრობლემას ვისმენ, რომ დიდი სიხარულია, როდესაც ვინმე ამბობს: „პრობლემა არ მაქვს. უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ უფალი ძალიან კეთილია!“ ეს დიდებულია!

სირცხვილია, რომ გამუდმებით მძიმე პრობლემებით მივიდეთ ღმერთთან. უფრო მეტად იმისთვის უნდა ვემადლიერებოდეთ, რაც ჩვენთვის უკვე გააკეთა.

შეერთებული შტატების ადრეულ დღეებში პურიტანები მარხვისა და მწუხარების დღეებს აკვირდებოდნენ. ყოველ თვე ერთი დღით მაინც მარხულობდნენ. შემდეგ ვიღაცამ თქვა: „მოდით, მადლიერების დღე გვქონდეს! ჩვენ არ ვიმარხულებთ და არ დავიტანჯებით, მაგრამ დღესასწაულს მოვაწყობთ და მადლობას მივუძღვნით უფალს ყველაფრისთვის, რაც მან გააკეთა.” ასე დაიწყო მადლიერების დღე.

რა თქმა უნდა, ლოცვებში პირადი თხოვნები აუცილებელია, მაგრამ თუ მხოლოდ მაშინ ვლოცულობ, როდესაც საკუთარ ცხოვრებაში რაიმე გადაუდებელი საჭიროება გამიჩნდება და მხოლოდ პირადი თხოვნებით მივმართავ ღმერთს, საკუთარ თავს

ფანტასტიურ კურთხევას ვუკარგავ - ო, როგორ დავტკბებოდი ღმერთის წინაშე მეტი ქებითა და მადლიერებით!

პავლე ასევე მოგვიწოდებს, ვილოცოთ მსახურებისთვის (კოლასელთა 4:3). დაე, ღმერთი შეეწიოს მსახურებს. ხშირად ადამიანები მსახურებს კვარცხლბეკზე გვათავსებენ და იმად გვაქცევენ, რაც არ ვართ. ჩვენც ყველანი ადამიანები ვართ. ვისურვებდი უფრო წმინდანი ვიყო, მაგრამ არ ვარ!

მსახურებსაც ისევე აქვთ პრობლემები, როგორც ყველას. ჩვენც იგივე განსაცდელებს გავდივართ, ალბათ უფრო დიდ ხარისხში, ვიდრე სხვა ქრისტიანების უმეტესობა. ჩვენი სულიერი ავტორიტეტისა და სულიერი ლიდერობის პოზიციის გამო ბევრჯერ სატანის უფრო მძიმე თავდასხმების ქვეშ ვექცევით.

მსახურებს ლოცვა სჭირდებათ. ვიღაცამ სპურჯენს მისი წარმატების შესახებ ჰკითხა. მან უპასუხა: „ჩემი ხალხი ლოცულობს ჩემთვის“. პავლემ თქვა: „ილოცეთ ჩვენთვის“.

პავლეს რა საკითხზე სჭირდებოდა ლოცვა? იმაზე, რომ ღმერთს სიტყვის კარი გაეღო (კოლასელთა 4:3). ამ დროს პავლე ციხეში იყო. შეიძლება ფიქრობთ, რომ მას თავისუფლება სურდა. „ილოცეთ, რომ ღმერთმა ციხის კარი გამიღოს და ამ ადგილიდან გამიყვანოს!“ ამის ნაცვლად, პავლე ლოცულობდა, რომ ღმერთს მისთვის სიტყვის თავისუფლად ქადაგების შესაძლებლობა მიეცა.

ილოცეთ, რომ ღმერთი დამეხმაროს, არ ვიყო უძლური მსახური, არამედ მისი სულით ავივსო. ბევრი კი არ ვილაპარაკო, არამედ არაფერი ვთქვა. ილოცეთ, ღმერთი დამეხმაროს, რომ არ ვიყო მხოლოდ ხალხის მოსაწონად და გასახარებლად მოლაპარაკე ფანტასტიური მსახური. ილოცეთ, რომ არ ვიყო სიტყვაში ზედმიწევნით აღჭურვილი უსაქმური მსახური. ილოცეთ, რომ ხალხის საჭიროებების მიმართ გულცივი მსახური არ ვიყო.

ილოცეთ, რომ ერთგული მსახური ვიყო, რომელიც ქრისტეს საიდუმლოებებზე ლაპარაკობს, მის სიყვარულს დემონსტრირებს, მაგალითს აძლევს სამწყსოს, თავმდაბლად დადის ღვთის წინაშე, როგორც უფალს უნდა რომ გააკეთოს. ილოცეთ თქვენი მწყემსებისთვის. ჩვენ გვწყურია თქვენი ლოცვა. თავის მხრივ, ჩვენ ვილოცებთ თქვენთვის.

3. ლოცვის პრივილეგია

რომელიმე მომენტში, ყველა კავდება ლოცვით. ის ადამიანიც კი, ვინც ამბობს, ღმერთის არ მწამსო“, კრიზისის დადგომისას ღაღადებს: „ღმერთო, მიშველე!“. ლოცვა გარკვეულწილად ყველასთვისაა ცნობილი.

ლოცვა ერთ-ერთი უდიდესი პრივილეგიაა, რაც ღმერთმა ადამიანს მიანიჭა. მაოცებს ის ფაქტი, რომ ღმერთის, ამ სამყაროს შემქმნელის თანდასწრებაში შემიძლია შევიდე და მასთან ვისაუბრო. უფრო მეტიც - ვიცი, ის ყოველთვის მომისმენს!

ისიც მაოცებს, რომ ღმერთმა ნებისმიერ დროს მასთან საუბრის პრივილეგია მომცა. წინასწარ შეხვედრის დანიშვნა ან დარეკვა არ მჭირდება. შემიძლია მივიდე ნებისმიერ დროს, ნებისმიერი საჭიროებისთვის და ჩემი გული მის წინაშე გადმოვღვარო. ღმერთი არა მხოლოდ ისმენს, არამედ დამპირდა კიდეც, რომ დამეხმარება! ის დამპირდა, რომ ყველა საჭიროებას უხელმძღვანეელებს და დამიკმაყოფილებს.

ვფიქრობ, რომ სამოთხეში ანგელოზებს შორის ერთ-ერთი უდიდესი ამოუხსნელი საიდუმლოება ისაა, რომ ადამიანს ლოცვის ეს დიდებული პრივილეგია მიენიჭა, მაგრამ ის მას სათანადოდ არ აფასებს.

ბევრი ადამიანი ლოცვას განიხილავს, როგორც რელიგიურ საქმეს, რომელიც მათი ვალდებულებაა. ლოცვაში გატარებული გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი ამ საქმისთვის დამსახურებულ სამკერდე ნიშანს ელიან. „ბოლოს და ბოლოს, მთელი საათი ვლოცულობდი.“ თითქოს ღმერთთან საუბარი უნდა ჯილდოვდებოდეს!

ბევრი ადამიანი მონდომებულია დღეში ერთი საათის განმავლობაში ილოცოს, რადგან ეს საპატიო საქმედ ესახება. ისინი ლოცვას ღმერთის წინაშე ყველა შესაძლო თხოვნის ჩამოთვლით იწყებენ. შემდეგ, ათი წუთის შემდეგ, როდესაც სათქმელი ამოიწურა, კვლავ თავიდან იწყებენ. ისინი სიას კიდევ რამდენჯერმე იმეორებენ. საბოლოოდ, ერთი საათი დასრულდა და ისინი თავს კარგად გრძნობენ. „დიდება უფალს! მთელი საათი ლოცვაში გავატარე.“ ისინი თავიანთ გზაზე იმით დარწმუნებულნი მიდიან, რომ თავიანთი მოვალეობა განახორციელეს და ვალდებულება შეასრულეს.

ლოცვა დროზე დამოკიდებული არასოდეს უნდა იყოს. ის არასოდეს არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ვალდებულება, აუცილებელი სამუშაო ან მოვალეობა.

გახსოვდეთ, რომ თქვენი ლოცვის ხანგრძლივობა საერთოდ არაა მნიშვნელოვანი. ხშირად, ხანგრძლივი ლოცვისთვის უბრალოდ არ გაქვთ საკმარისი დრო. მაგალითად, დავუშვათ, რომ თქვენი მანქანა რკინიგზის ლიანდაგზეა გაჩერებული და მატარებელი თქვენი მიმართულებით მოდის. ასეთ დროს თუ დიდხანს ილოცებთ - უფალს მალე შეხვდებით!

იესომ გაგვაფრთხილა: „ლოცვის დროს კი ნუ მოჰყვებით ამაო სიტყვების გამეორებას, როგორც წარმართები იქცევიან, რადგან ჰგონიათ, რომ მრავალსიტყვაობის გამო იქნებიან შესმენილნი“ (მათე 6:7). კათოლიკეები ხშირად გამხდარან კრიტიკის საგანი ამ ფრაზის მრავალჯერ გამეორების გამო: „ქება მარიამსა და ჩვენს მამებს“, მაგრამ გამუდმებით გამეორებული: „იესო! იესო!“ ან „დიდება! დიდება!“ ან ნებისმიერი სხვა ფრაზა ამგვარადვე ფუჭია. როდესაც ლოცულობთ, რეალურად მამას ელაპარაკებით. მას გონივრულად უნდა ესაუბროთ. ერთი და იგივე სიტყვებს მანტრასავით არ უნდა იმეორებდეთ. ეს არაფერს მოგცემთ.

ლოცვის სფერო

ქრისტიანს თავის ცხოვრებაში ძალაუფლების ერთი წყარო აქვს - სულიწმიდა. იესომ თქვა: „მიიღებთ ძალას, მას შემდეგ, რაც სულიწმიდა გადმოვა თქვენზე“ (საქმეები 1:8). ის არის ძალაუფლების წყარო თქვენს ცხოვრებაში.

თუმცა ლოცვა თქვენი სულიერი ძალის გამოვლენის უდიდესი საშუალებაა. ლოცვით უფრო მეტი შემიძლია გავაკეთო ღმერთისთვის, ვიდრე ნებისმიერი სხვა საშუალებით, თუნდაც მსახურებით. ლოცვა სახლის ძლიერ კაცს ბოჭავს მაშინ, როდესაც მსახურება სახლში შესვლასა და ნადავლის აღებას მოიცავს. ლოცვაზე მეტის გაკეთება ლოცვის შემდეგ შემიძლია, მაგრამ ლოცვაზე მეტს იქამდე ვერ გავაკეთებ, სანამ არ ვილოცებ. თუმცა ღმერთის წინაშე ჩემი მსახურება მნიშვნელოვანია, მაგრამ შეზღუდულია ერთი კონკრეტული ადგილით. ლოცვა კი უსაზღვროა თავის სფეროში. მას შეუძლია მთელ მსოფლიოს მისწვდეს.

ლოცვით შემიძლია ჩემი ცხოვრების ნახევარი საათი სამხრეთ ამერიკაში გავატარო და ღვთის სამეფოსთვის მისიონერების ხელების გაძლიერებით ვაკეთო საქმე. შემდეგ შემიძლია მექსიკაში წავიდე და გარკვეული დრო გავატარო ჩემს მეგობრებთან, რომლებიც იქ მსახურობენ. მათ მსახურებაში იმით შემიძლია დავეხმარო, რომ ვლოცულობ მათ მიერ გავრცელებული ფართობებისა და მათ მიერ ნათქვამი სიტყვების ეფექტურობისთვის. შემდეგ შემიძლია გადავიდე ჩინეთში და ვილოცო იქაური ეკლესიისთვის. ლოცვის მეშვეობით შემიძლია სამყაროს ჩემი ოთახიდან შევეხო.

ჯილდოები

იესომ თქვა: „როცა ლოცულობთ, ნუ დაემსგავსებით თვალთმაქცებს“ (მათე 6:5). სიტყვა თვალთმაქცი ბერძნულად არის hupokrites. კლასიკური ბერძნული თეატრის მსახიობები პერსონაჟის ნიღბებს ატარებდნენ. ამ მსახიობებს ჰუპოკრიტებს უწოდებდნენ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იესომ თქვა: „როდესაც ლოცულობთ, ნუ იქნებით ისინი, ვინც უბრალოდ თვალთმაქცობს სხვა ადამიანთა დასანახად. ნუ იქნებით როგორც ფარისევლები, რომლებსაც მოსწონთ ლოცვა სინაგოგებში და ქუჩის კუთხეებში დგანან ადამიანებმა რომ შენიშნონ“.

ამ ამონარიდიდან ბევრმა ივარაუდა, რომ საჯარო ლოცვა არასწორია. რა თქმა უნდა, იესომ ეს არ იგულისხმა. თავად იესო ლოცულობდა საჯაროდ. ასევე ადრეული ეკლესია სახალხოდ სალოცავად ერთად იკრიბებოდა. ბიბლია ამბობს, რომ მორწმუნეები ყოველდღიურად მოციქულთა მოძღვრებაში, თანაზიარებაში, პურის გატეხვასა და ლოცვაში მკვიდრობდნენ (საქმეები 2:42). ლოცვა ჩვენი შეკრების განუყოფელი ნაწილია.

მაგრამ ფრთხილად იყავით, რომ ადამიანებზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით არ ილოცოთ, მაშინ როცა ღმერთთან კომუნიკაციისთვის უნდა ლოცულობდეთ. ეს განსაკუთრებით მსახურებისთვისაა რეალური საფრთხე, რადგან ჩვენ საჯაროდ ხშირად ვლოცულობთ. ნამდვილი ცდუნება ქადაგების დასასრულს მოდის, როდესაც სიტყვის დასრულების შემდეგ ლოცვაში დახვეწილად ვიმეორებ ჩემი გზავნილის მთავარ პუნქტებს, რათა დავრწმუნდე, რომ ხალხმა კარგად გაიგო. თითქოს ღმერთს ველაპარაკები, მაგრამ რეალურად ვცდილობ, ჩემი აზრი კიდევ ერთხელ მივუტანო ხალხს.

ჩემი ადრეული მსახურების პერიოდში საჯარო ლოცვამ თითქმის დამანგრია. ერთ დღეს ერთმა ქალბატონმა მითხრა: „შენ ყველაზე ლამაზად ლოცულობ“. ამიტომ ვიფიქრე:

„ამაზე ვფოკუსირდები. ლოცვას კიდევ უფრო გავალამაზებ!“ ჩემი ლამაზი ლოცვებით ადამიანებზე შთაბეჭდილების მოხდენამ იმდენად დამაინტერესა, რომ დამავიწყდა, სინამდვილეში მამას რომ ვესაუბრებოდი.

სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით ლოცვაში რეალური საშიშროებაა, როდესაც ცდილობ ადამიანებსაც აჩვენო ის, თუ საკუთარი თავი სულიერად რაოდენ ღრმა პიროვნებად, მართალად, ღვთისმოსავად მიგაჩნია.

იესომ ორი სახის ჯილდოზე ისაუბრა. პირველი - ადამიანებისგან მიიღება. ის იმ პიროვნებას ეძლევა, რომელიც საჯაროდ ლოცულობს იმ მოტივით, რომ თავისი სულიერებით ადამიანებზე მოახდინოს შთაბეჭდილება. მისი ჯილდო ადამიანის სიყვები იქნება: „ო, ის ისეთი სულიერია!“

ფარისეველთა მოტივაცია სწორედ ეს იყო - საკუთარი სულიერების ჩვენება. სინაგოგისკენ მიმავალ გზაზე ისინი ისე იქცეოდნენ, თითქოს სულიერი ენთუზიაზმით იყვნენ აღვსილნი. ქუჩის კუთხეში უნდა გაჩერებულიყვნენ და ლოცვა სწორედ იქ ეთქვათ! ისინი რეალურად ამბობდნენ: „მე ისეთი წმინდა ვარ, ვერ ვითმენ და სინაგოგაში მისვლამდე ვლოცულობ!“ მათ თავიანთი ჯილდო - ადამიანის ქება მიიღეს (მათე 6:5).

მეორეს მხრივ, იესომ თქვა, შედი შენს ოთახში, დაკეტე კარი და ილოცე მამის წინაშე, რომელიც დაფარულს ხედავს. და შენი მამა, რომელიც დაფარულში ხედავს, ცხადად მოგიზღავს შენ (მათე 6:6).

ლოცვას ჯილდო მოჰყვება. ცრუ ლოცვებიც კი, რომლებიც ადამიანის მოწონებისთვისა წარმოთქმული, საკუთარ საზღაურს იღებს, მაგრამ შენ რომელი წყაროდან გსურს ჯილდო - ადამიანისგან თუ ღმერთისგან?

ჩვევები

ხშირად ჩვენც ვიღებთ ხოლმე ლოცვის თავისებურ ჩვევებს. თუ ვინმეს ლოცვაში გარკვეულმა რამ ჩვენზე შთაბეჭდილება მოახდინა, მათ თავისებურებებს ჩვენს ლოცვაში გადმოვიღებთ ხოლმე.

მაგალითად, შეიძლება კონკრეტული „ლოცვის ხმით“ ვილოცო და სიტყვები მცირე ვიბრაციით გამოვთქვა: „ოოოო, ღმერთო.“ რა თქმა უნდა, სხვა ადამიანთან ასე ლაპარაკს ვერ გავბედავდი, რადგან იფიქრებდა, რომ უცნაური ვარ. ნეტა რას გავაკეთებდი, ჩემი შვილები რომ მოვიდნენ და მითხრან: „ოოოო, ძვირფასო მამა!“ ასევე ძველი ინგლისურით ლოცვა ბევრად უფრო სულიერად ჟღერს. ასე რომ, ლოცვებისთვის ბიბლიის ძველ (King James) თარგმანს ვიყენებ, და არა თანამედროვეს (Revised Standard).

იესომ თქვა, რომ თქვენმა მამამ იცის რა გჭირდებათ, სანამ სთხოვდეთო (მათე 6:8). ასე რომ, უბრალოდ ითხოვეთ! ღმერთს ვერ გააცურებთ. ის ან კის გეტყვით ან - არას, მიუხედავად იმისა, თუ როგორ სთხოვთ.

იესომ თქვა: „ითხოვეთ და მოგეცემათ“ (იოანე 16:24). თხოვნით, ღმერთს კარს უხსნით, რომ ის გააკეთოს, რაც მას სურდა და გაკურთხოთ ისე, როგორც სურდა.

ლოცვის ფორმა

იესომ ლოცვის ძირითადი ფორმა მოგვცა: „ასე ილოცეთ: მამაო ჩვენო“ (მათე 6:9). ლოცვის ეს ფორმა მყისიერად ავლენს იმას, რაც ეფექტური ლოცვისთვისაა საჭირო - მთხოვნელსა და ღმერთს შორის მჭიდრო, პირადი ურთიერთობა.

ღმერთთან თქვენი ურთიერთობა ხშირად იმით ვლინდება, თუ როგორ მიმართავთ მას.

ზოგიერთი ადამიანი ლოცვას შემდეგნაირად იწყებს: „ყოვლისშემძლე ღმერთო“. და თუ თქვენი ურთიერთობაა ასეთია, მაშინ ამგვარად უნდა ესაუბროთ. თუ რეალურად არ იცნობთ მას, როგორც თქვენს მამას, მაშინ ასე შეგიძლიათ მიმართოთ: „ყოვლისშემძლე ღმერთო“ ან „მარადიულო ღმერთო“.

მაგრამ, მადლობა ღმერთს, რადგან იესო ქრისტეს მეშვეობით შემიძლია მასთან მშვენიერი მამა-შვილური ურთიერთობა მქონდეს. „ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რომ მის შვილებად ვიწოდებით“ (1 იოანე 3:1). დაფიქრდით! ჩვენ ღვთის შვილებად ვიწოდებით. ახლა შემიძლია მასთან მივიდე და მივართო: „მამა!“

მაგრამ შვილები შეგვიძლია მხოლოდ იესო ქრისტეს მეშვეობით ვიყოთ. ქრისტეს გარეთ მყოფებს შორეული ურთიერთობა აქვთ ყოვლისშემძლე, მარადიულ ღმერთთან, მაგრამ თქვენ, იესო ქრისტეს მეშვეობით, მასთან პირად, ღრმა ურთიერთობაში შეხვედით და შეგიძლიათ თქვათ: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა“.

იოანემ თქვა: „ვინც მიიღო და ირწმუნა მისი სახელი, მათ მისცა ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა“ (იოანე 1:12). ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს მოგვცა „შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: აბბა, მამაო! სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ“ (რომაელთა 8:15,16). ბუნებრივად ვუწოდებ მამას, რადგან მისი შვილი ვარ. ურთიერთობას ლოცვაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

იესო ლოცვის მაგალითს ქებითა და თაყვანისცემით განაგრძობს. „წმიდა იყოს სახელი შენი“ (მათე 6:9). თაყვანისცემა ლოცვის მნიშვნელოვანი ნაწილია. „შედით მის კარიბჭეში მადლიერებით და მის ეზოებში ქებით“ (ფსალმუნი 99:4). ძალიან ხშირად ვცდებით და მხოლოდ ჩვენი თხოვნებით მივმართავთ ღმერთს. თქვენი ლოცვითი ცხოვრების გასამდიდრებლად დრო მის განდიდებას დაუთმეთ. შემდეგ წარუდგინეთ თქვენი სათხოვრები.

იესოს ლოცვის მაგალითში პირველი ორი სათხოვარი არის შუამავლობის სახით. „მოვიდეს შენი მეფობა, იყოს ნება შენი“ (მათე 6:10). იესომ თქვა: „უპირველეს ყოვლისა ეძიეთ ღვთის სასუფეველი და მისი სიმართლე; და ყველა ეს [რაზეც ასე ხშირად ლოცულობთ] შეგემატებათ“ (მათე 6:33). “ისიამოვნე უფლის მიერ და ის აგისრულებს გულის საწადელს“ (ფსალმუნი 36:4).

ბევრჯერ ადამიანები ბედნიერებას უკან გამოეკიდებიან ხოლმე, მაგრამ ის ასე არ მოიპოვება. ბედნიერება ღმერთთან პირადი ურთიერთობის შედეგია. თუ ღმერთთან სწორი ურთიერთობა გაქვს, ბედნიერებით ივსები.

ლოცვისას უპირველეს ყოვლისა ეძიეთ ღვთის სასუფეველი და მისი სიმართლე და ეს ყველაფერი შეგემატებათ. ეს ცხოვრების სწორი პერსპექტივის თანაპროდუქტი. „მოვიდე მეფობა შენი; იყოს ნება შენი“. ეს თქვენი სიის სათავეში განათავსეთ და აღმოაჩენთ, რომ ღმერთი იზრუნებს იმაზე, რაზეც თქვენ იბრძოდით და ვერ შეასრულეთ.

შეგიძლიათ ღმერთთან მიხვიდეთ და თქვენი საჭიროებები და თქვენი თხოვნები აცნობოთ. შეგიძლიათ მას გული გაუხსნათ და თქვენი სულის შინაგანი საიდუმლოებები გაუზიაროთ. შეგიძლიათ გაატაროთ ასეთი კურთხეული დრო მამასთან საუბრით და მისი დახმარებით, ძალითა და ხელმძღვანელობით.

რა დიდი პრივილეგიაა ლოცვა! დაე, ღმერთი დაგეხმაროთ ლოცვის სრული, მშვენიერი გამოცდილების აღმოჩენაში. ეს არც სამუშაოა, არც დავალება, არც მოვალეობა, არც ტვირთი, არც ვალდებულება - არამედ ყველაზე სასიხარულო პრივილეგია მსოფლიოში!

4. ეფექტური ლოცვა

ბიბლია გვასწავლის, რომ რწმენა წარმოშობს ლოცვებს, რომლებსაც ღმერთი პასუხობს. იესომ თქვა: „ამიტომ გეუბნებით, ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ, და მოგეცემათ“ (მარკოზი 11:24).

ჩემთვის უფრო მარტივია პასუხგაცემულ ლოცვებს ვერწმუნო მაშინ, როდესაც ვაცნობიერებ თუ რა დიდებული ძალა აქვს მას, ვისაც მივმართავ. საქმეების წიგნში მოწაფეები ლოცულობდნენ: „ღმერთო, შემოქმედო ცისა, მიწისა, ზღვისა და ყველაფრისა, რაც მათშია“ (საქმეები 4:24).

როდესაც ლოცულობთ, რეალურად მთელი სამყაროს უზენაეს შემოქმედს ესაუბრებით. ეს გახსოვდეთ! ძალიან ხშირად საკუთარი შეზღუდვებით მივდივართ ღმერთთან. ზოგჯერ ძალიან ბევრი ვიცით სიტუაციის გარემოებებზე და გვიჭირს რწმენით ლოცვა.

მაგალითად, მექანიკური გონება მაქვს და ამიტომაც ძალიან მიჭირს სასწაულისთვის ლოცვა, როდესაც ჩემს მანქანას ძრავი უფუჭდება. უბრალოდ მაკლია რწმენა იმისა, რომ ღმერთს შეუძლია მანქანის დაქოქვა, როცა საკმაოდ კარგად ვიცი, რომ ანთების სანთელი სუსტია, გადაცემა - ცუდი და აკუმულატორი - დამჯდარი. ამ დროს ვერ ვილოცებ: „ღმერთო, მანქანა დაიქოქოს რა!“

სამაგიეროდ ჩემმა მეუღლემ მექანიკის შესახებ არაფერი იცის. ის იშვიათად იხედებოდა მანქანის გარსაცმის ქვეშ.

ის ვერ არჩევს გამანაწილებელს კარბიურატორისგან ან ზეთის საზომ ღერძს რადიატორის თავსახურისგან. ასე რომ, მას შეუძლია ჰქონდეს დიდი რწმენა, როცა მანქანის დაქოქვა გვიჭირს.

მე: „რა უნდა ვქნათ?“

ის: „მოდი ვილოცოთ.“

ვპასუხობ: „აჰ, მოიცა რა, მსგავს რამეზე ლოცვა არ შეგვიძლია, ეს მექანიკურია.“

მაგრამ ის თავს დახრის და ამბობს: „უფალო, დაეხმარე ამ მანქანას ახლავე დაიქოქოს. იცი, რომ წასასვლელები ვართ. მადლობას გიხდი, მამა, და ამას იესოს სახელით გთხოვ.“ შემდეგ მეტყვის: „კარგი. კიდევ ერთხელ სცადე.“

მე: „აზრი არ აქვს!“

ის: „უბრალოდ სცადე.“ და მატორიც ახმაურდება!

ვის მიმართავთ ლოცვისას? რით შეზღუდავთ ღმერთის შესაძლებლობას? შეხედეთ სამყაროს, ნახეთ რა მოიმოქმედა ღმერთმა. შემდეგ მისთვის ლიმიტების დაწესებას ეცადეთ. ის ნამდვილად დიდებული ღმერთია.

ჩვენ ხანდახან ისე ვლოცულობთ, თითქოს ისეთ ვინმეს ვესაუბრებოდეთ, ვინც ძალზე შემოსაზღვრულია. „ო, უფალო! არ ვიცი, შეგიძლია თუ არა ამის გაკეთება. თხოვნაც კი მერიდება. და თუ არ შეგიძლია, ნუ, არაუშავს. მესმის.“

სირთულე ყოველთვის უნდა შეფასდეს იმ აგენტის შესაძლებლობებით, რომელსაც საქმის შესასრულებლად მოუხმეს. თქვენ რომელ აგენტს მიმართავთ? ის ღმერთია, სამყაროს შემოქმედი. ის არის თქვენი ზეციერი მამა, რომელსაც უყვარხართ და ზრუნავს თქვენზე. მისთვის არაფერია ძალიან რთული.

იერემია ლოცულობდა: „ო, უფალო ღმერთო! აჰა, შენ შექმენი ცანი და დედამიწა შენი დიდი ძალითა და გაწვდილი მკლავით, შეუძლებელი არაფერია შენთვის!“ (იერემია 32:17). ეს ლოცვის დასაწყებად კარგი გზაა.

ბევრჯერ ძალიან გადატვირთულები ვართ იმ სიტუაციებით, რაზედაც ვლოცულობთ. მხრებზე გვაწევს და თითქოს ათას ტონას იწონის. ვეკედრებით: „უფალო, რას შეუძლია ამ მთის გადაადგილება? შენ იცი, რა თქვა ექიმმა ამის შესახებ, უფალო. შემთხვევათა 99% ფატალურია. უფალო, ეს საშინელებაა!“

ჩვენ პრობლემის შინაარსით ისე ვართ მოცული, გვავიწყდება რომ ვესაუბრებით მას, ვინც ცა, დედამიწა, ზღვა და ყველაფერი შექმნა, რაც მათშია. ღმერთისთვის ლეიკემიის ბოლო სტადიაზე მყოფი ადამიანის განკურნება არ არის უფრო რთული, ვიდრე ყელის ტკივილის მოხსნა. ღმერთისთვის უფრო რთული არაა, რომ კაცს ახალი მკლავი გამოაბას, ვიდრე მას თავის ტკივილის მოუხსნას.

თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „კარგი ახლა, რა! საზღვრებიც არსებობს.“

რა მოხდება, თუ ზღვის ვარსკვლავი ერთ მკლავს დაკარგავს? გაგიჭირდებათ ლოცვა: „ღმერთო, ახალი მკლავი გაუზარდე ამ ზღვისვარსკვლავს?“ - არა. ჩვენ ვიცით, რომ ბუნება ზღვის ვარსკვლავს ახალ მკლავს გაუზრდის. გაჭერით პატარა ჭიაყელა შუაზე და ბუნება მის ნახევარს ხელახლა გაზრდის. მაგრამ რა არის ბუნება? ვინ შექმნა ბუნების კანონები? განა არ შეუძლია ახალი მკლავის გაზრდა ღმერთს, რომელმაც ჩვენ და ჩვენში არსებული ყველა ფუნქცია შექმნა? თუ მან ჭიაყელაში ჩადო ეს ფუნქცია, რატომ გაუჭირდება ადამიანისთვის ახალი მკლავისა თუ ფეხის მიცემა?

როდესაც ასეთ სასწაულებზე ვფიქრობთ, ადამიანური თვალთახედვით ვიზღუდებით და ამ ზღვარს ღმერთსაც ვუწესებთ. ვამბობთ: „არაუშავს, თუ ახალ მკლავს არ მისცემ, ღმერთო. უბრალოდ დაეხმარე, რომ მის გარეშე ცხოვრებას შეეგუოს.“

ზოგჯერ ღმერთი მხოლოდ იმისთვის ახდენს სასწაულებს, რომ გვაჩვენოს, ჩვენი ურწმუნოების მიუხედავად რისი გაკეთება შეუძლია.

ერთხელ ერთმა ქალბატონმა დამირეკა ტუსონში, სადაც პასტორი ვიყავი და მითხრა: „გთხოვთ, ჩაკ, ილოცე ჩემი პატარა ვაჟისთვის, დავითისთვის. თითი მანქანის კარში მოჰყვა. ექიმთან ვართ და ამბობს, რომ ამპუტაცია მოგვიწევს! გთხოვთ, ჩაკ, ილოცეთ, რომ ღმერთმა განკურნოს და ამპუტაცია არ მოგვიწიოს.“

დედასთან ერთად ტელეფონში ვილოცე. სული ჩემს გულს შეეხო და ამ სიტუაციისადმი დადებითად განვეწყე. ვუთხარი: „მჯერა, რომ ღმერთი დავითის თითს განკურნავს! ადიდეთ უფალი და იხარეთ! ღმერთი სასწაულს მოახდენს!“

ექიმმა დავითის დედას უთხრა: „ხვალ შეგიძლიათ დაბრუნდეთ და ამპუტაციის საკითხი გადავწყვიტოთ.“

მეორე დღეს მან პატარა დავითი ისევ სპეციალისტთან წაიყვანა. ექიმმა თითს დახედა და თქვა: „ვწუხვარ, მაგრამ სისხლი უკვე მოწამლულია, ამპუტაცია მომიწევს, ძვალი დამტვრეულია და მეტი არაფრის გაკეთება არ შემიძლია“.

ტელეფონზე დამირეკა. ისე ტიროდა, ლაპარაკი არც შეეძლო. „რა მოხდა?“ - ვკითხე. ისტერიკაში იყო. მისმა დამ აიღო ტელეფონი და მითხრა: „ჩაკ, ექიმმა ახლახან დავითს თითის წვერის ამპუტაცია გაუკეთა და ამან ჩემი და მთლიანად შეარყია“.

ვუთხარი: „გადაეცი, რომ სახლში შევხვდები“.

მისი სახლისკენ მანქანით წავედი, თან ღმერთზე ძალიან ვბრაზობდი! ვუთხარი: „უფალო, რატომ არ განკურნე მისი თითი? მარტივად შეგეძლო განკურნება! ეს შენთვის არაფერია. გარდა ამისა, მას ვუთხარი, რომ შენი ნდობა და რწმენა ჰქონოდა და ახლა ნახე რა გააკეთე. ორივეს გაგვიცრუე იმედი! ახლა უნდა მივიდე და დაველაპარაკო. ისტერიკაშია და არ ვიცი, რა ვუთხრა!“

როცა მის სახლში მივედი, ვუთხარი: „ჯუნ, ვიცით, რომ ღმერთის მოყვარულებს ყველაფერი სასიკეთოდ ეწევათ. ღმერთს აქვს მიზანი... შეიძლება მთელი თითი ან მკლავი დაეზიანებინა. მადლობელი იყავი, რომ მხოლოდ თითის წვერი დაიზიანა. ეს არც ისე ცუდია. დავითი ისწავლის როგორ შეეგუოს. ოდესმე მივხვდებით ღვთის განზრახვებს.

ამ სიტუაციებში რჩევის მიცემა ადვილი არ არის, მაგრამ ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. სახლისკენ მიმავალ გზაზე ისევ ღმერთზე ვუბრაზდებოდი. „უფალო, უბრალოდ არ მესმის, რას აკეთებ! მე რომ შენს ადგილას ვყოფილიყავი, აუცილებლად განვკურნავდი მის თითს.“

ნაწყენი ვიყავი. ჩემი რწმენა დაიმსხვრა. იმ ღამეს ვიღაცის გაციების გამოც ვეღარ ვილოცებდი. ჯუნის რწმენაც დაიმსხვრა. მიუხედავად იმისა, რომ მის დამშვიდებას ვცდილობდი, ვერ წყნარდებოდა.

მეორე დილით მან დამირეკა. ძალიან აღელვებული იყო და ტელეფონში ყვიროდა: „ჩაკ! ჩაკ! რაღაც მოხდა!“

-ახლა რაღა მოხდა?

„დაუჯერებელია! დავითი თავის ძმას ეჭიდავებოდა და თითიდან სახვევი ჩამოსძვრა. სახვევის ხელახლა დასადებად მივედი და რას ვხედავ, თითზე ახალი ვარდისფერი თითის წვერი ეზრდება! სრულიად ახალ ხორცს ჰგავს!“ მან დავითი სპეციალისტთან მიიყვანა, რომელმაც თითს დახედა და თავი მოიფხანა. შემდეგ თქვა: „ექთანო, ჩემი დიაგნოზი მოიტანე“. თავის დიაგნოზს დახედა და უთხრა: „ექთანო, ჩვენ ხომ ამპუტაცია გავაკეთეთ?“

მან თქვა: „დიახ, ექიმო“.

ექიმმა თავი გააქნია - „შეუძლებელია! გთხოვთ, დავითი ხვალ უკან მოიყვანოთ“.

დედამისმა დავითი მეორე დღესაც მიიყვანა და ექიმმაც იგივე რუტინა გაიმეორა. შემდეგ თქვა: „წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ხვალაც რომ მოიყვანოთ?“ ერთი კვირის განმავლობაში ჯუნს ყოველდღე უწევდა თავისი პატარა ბიჭის სპეციალისტთან მიყვანა, რომელიც ახალი თითის წვერს შეხედავდა და თავს მოიფხანდა ხოლმე. მან რენტგენი გადაიღო და ნახა, რომ ძვალი ხელუხლებელი იყო. „ეს რაღაც შესანიშნავია! რამდენადაც ვიცი, სამედიცინო მეცნიერებას მსგავსი არაფერი უნახავს. ამისთვის არავითარი ახსნა არ მაქვს. მაგრამ, რა თქმა უნდა, თქვენც ხომ იცით, რომ შეუძლებელია ამ თითის წვერზე ოდესმე ფრჩხილი ჩამოყალიბდეს.“

რამდენიმე კვირის შემდეგ თითზე ფრჩხილმაც დაიწყო ზრდა. ორ თვეში დევიდს შეეძლო ორივე ხელი გამოეშალა, და ვერც გაიგებდით, რომელი თითის წვერი იყო ოდესღაც ამპუტირებული!

დავითი ერთი წლის განმავლობაში კვირაში ერთხელ ბრუნდებოდა ექიმთან. ექიმმა გადაიღო სურათები, დააფიქსირა მთელი მოვლენა და წარუდგინა ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ჟურნალს. ექიმი ებრაელი იყო და დავითის დედამ მას იესო ქრისტეს ძალაუფლების შესახებ დაუმოწმა. მან კი ბოლოს თქვა: „უნდა ვაღიარო, რომ ეს ღვთის სასწაულია“.

ამის შემდეგ მე ვაღიარე: „ვაუ! შენ ნამდვილად ჭკვიანი ხარ, ღმერთო! ეს მართლაც სხვა დონეა!“ ღმერთს თითი ამპუტაციამდე რომ განეკურნა, სპეციალისტი დედის მოწმობის არცერთ ნაწილს არ დაიჯერებდა. ის იფიქრებდა, რომ სხეული თავად განიკურნა, მაგრამ ამპუტაციის შემდეგ... „ეს ექიმის განსაცვიფრებლად გააკეთე!“

რატომ ვზღუდავთ ღმერთს? იმიტომ, რომ თვითონ ვართ შეზღუდულნი. უნდა გავაცნობიეროთ ვის ველაპარაკებით ლოცვისას. თვალი უნდა მოვაშოროთ ჩვენს პრობლემებს და გვახსოვდეს ის ფაქტი, რომ ყველაფრის შემოქმედს ვესაუბრებით - ღმერთს, რომელიც ასეთი დიადი, დიდებული და ძლევამოსილია!

ღვთის სიბრძნე

ლოცვისას მნიშვნელოვანია ღვთის სიბრძნის სიდიადის გაცნობიერებაც. ღმერთმა ყველაფერი იცის შენი ცხოვრების შესახებ. მან იცის უსიამოვნებები, რომლებსაც განიცდი - სიტუაციები, რომელთა წინაშეც დგახარ და - ისიც, თუ რა პრობლემები გაქვს.

სინამდვილეში, ათასობით წლის წინ იცოდა ღმერთმა დღეს რა პრობლემების წინაშეც დადგებოდი. მან ასევე იცოდა პასუხი, რომელსაც შენთვის შეიმუშავებდა. ღმერთს ვერ გააკვირვებ. მას შენი პრობლემების დანახვაზე ენა არ ჩაუვარდება. შენი მდგომარეობა მთლიანად მის კონტროლს ექვემდებარება.

სატანის ქმედებები ღვთის კონტროლს არ ამცირებს, რადგან სატანას იმაზე მეტის გაკეთება არ შეუძლია, ვიდრე ღმერთი დაუშვებს, რადგან ის ადგენს მტრის საზღვრებს და ამბობს: „შეგიძლიათ ამ ყუთში იმოძრაოთ, მაგრამ მის გარეთ ვერ გახვალთ“. ყველაფერი ღვთის მიერ დადგენილ საზღვრებში მოძრაობს.

შეხედეთ რუსეთს, ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალა იყო მსოფლიოში. შეხედეთ მის შეიარაღებასა და მეგატონურ ბომბებს, ICBM-ების მიწოდების სისტემასა და უზარმაზარ ძალას. რუსები სულ ცოტა ხნის წინ გვემუქრებოდნენ (ამერიკელებს), რომ დაგვმარხავდნენ, მაგრამ მათ ბომბის აწევაც არ შეუძლიათ მიწიდან, თუ ამის უფლებას ღმერთი არ მისცემს. ყველაფერი ღვთის წინასწარგანსაზღვრით ხდება. როცა ლოცულობ, გახსოვდეს, რომ ღმერთის ხელია ყველაფერზე. ღმერთს ყველაფერი მისი კონტროლის ქვეშ აქვს და შემიძლია ისიც დავამატო, რომ მისი დროის შეგრძნება სრულყოფილია, თუმცა ხშირად ჩვენს დროსთან სინქრონიზებული არაა.

როგორც კი ყველაფერს ხედვის პერპექტივაში მოაქცევ და მიხვდები, ვის მიმართ ლოცულობ - რამდენად დიდია ღმერთი, რამდენად ბრძენია ის და რომ სრულად აკონტროლებს ყველაფერს - შენი თხოვნა არც ისე შეუძლებლად მოგეჩვენება.

„უფალო, ღმერთო, შენ შექმენი ცა, დედამიწა, ზღვა და ყველაფერი მათში. შენ ყველაფერს აკონტროლებ. შენ დღევანდელი მსოფლიო მდგომარეობის შესახებ ათასობით წლის წინ დაწერე. ყველაფერი ზედმიწევნით სრულდება, როგორც იწინასწარმეტყველე და როგორც გვირჩიე. უფალო, შენ იცი, რომ კბილი მტკივა. გთხოვ, მომაშორე ტკივილი!“ თუ ღმერთმა შექმნა სამყარო, რა თქმა უნდა, მისთვის რთული არაა ამ პატარა გაღიზიანებაზე ზრუნვა.

ღმერთის შესახებ ჩვენი შეხედულება რაც უფრო დიდია, მით უფრო მცირედ გვეჩვენება ჩვენი პრობლემა. თუმცა, ყველაზე ხშირად პრობლემას მაშინ ვაწყდებით, როდესაც ვლოცულობთ. „ო, ღმერთო! ეს ძალიან დიდი პრობლემაა! ისეთი საშინელებაა!“ პანიკაში

ვართ, რადგან მთა ძალიან მაღალი ჩანს, მაგრამ მთა ევერესტი ღმერთმა შექმნა და თუ ისურვებდა, სამყაროს სხვა ნაწილშიც გადაიტანდა! იესომ თქვა:

„მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ მთას - აქედან იქით გადადიო, გადავა; და არაფერი იქნება თქვენთვის შეუძლებელი“ (მათე 17:20).

რამდენად დიდია ის მთა, რომლის წინაშეც დგახარ? „არ ვიცი, შემდეგ კვირას გადასახადებს როგორ გადავიხდი! სად ვიშოვო ფული?“ თუ იცით, საერთოდ, საიდან გაჩნდა ოქრო? ის ღმერთმა შექმნა. მისთვის არაფერია შენი საჭიროებების დაკმაყოფილება. თუ გააცნობიერებ მის ძალას, მის სიბრძნესა და მის სუვერენიტეტის, მაშინ შეგიძლია შენი თხოვნა ღმერთთან თავდაჯერებულად და მარტივად მიიტანო.

ძველ აღთქმაში მეფე ასამ თქვა: „უფალო! მხოლოდ შენ შეგიძლია შეეწიო უძლურს ძლიერის წინააღმდეგ“ (2 ნეშტთა 14:11). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთისთვის ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა იმას, დიდი ჯარი გყავს თუ პატარა ოცეული.

ერთ დილას იონათანი ადრე ადგა და შორს დაბანაკებული ისრაელის მტრები, ფილისტიმელები, შენიშნა. საულის ჯარის უმეტესი ნაწილი გაქცეულიყო და მდინარე იორდანე გადაელახა. ირგვლივ მიმოიხედა და დაინახა, რომ მის ჯარისკაცებს ღრმად ეძინათ. თავის მეჯავშნე შეანჯღრია და უთხრა: „გამოფხიზლდი! ფილისტიმელებს გახედე. ნეტავ, დღეს სურს ღმერთს ფილისტიმელების ისრაელიანებისთვის გადაცემა? თუ ასეა, მთელი ჯარი არ სჭირდება. ფილისტიმელთა გადმოცემა ისევე მარტივად შეუძლია მხოლოდ ჩვენ ორისთვის, როგორც მთელი ჯარისთვის. მოდი, გადავიდეთ ფილისტიმელთა ბანაკში და ვნახოთ, სურს თუ არა ღმერთს დღეს ისრაელისთვის სასარგებლოდ მოქმედება“.

ისინი ფილისტიმელთა ბანაკში შევიდნენ და თავს დაესხნენ. ამ ორმა ადამიანმა ფილისტიმელთა მთელი ლაშქრის განადგურება დაიწყო (2 მეფეთა 14:1-18)! ღმერთისთვის არ აქვს მნიშვნელობა სუსტი ხარ თუ ძლიერი, მთელი ჯარი გყავს თუ მარტო ხარ. მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, საქმეს თავად ღმერთი აკეთებს თუ - არა.

როგორ ვილოცოთ ისე, რომ შედეგი გვქონდეს? როგორ ვილოცოთ ეფექტურად? ღმერთზე სწორი წარმოდგენა იქონიეთ - და დანარჩენი მარტივია!

5. ძალა ლოცვაში

მორწმუნის სიძლიერე ყოველთვის დაკავშირებულია მის რწმენასთან ღმერთისადმი. იესომ თქვა: „უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ.“ (იოანე 15:5). სამწუხაროდ, მე ყოველთვის არ მჯერა ამის.

სინამდვილეში, როგორც ჩანს, მე ხშირად საპირისპიროსი მჯერა. ჯიუტად ვამტკიცებ, რომ იესოს გარეშე უნდა გავაკეთო რაღაც კარგი. ყოველთვის ვეძებ რაღაც გამომსყიდველ თვისებას საკუთარ თავში, რაღაც მახასიათებელს, რისთვისაც ღმერთმა შეიძლება შემიყვაროს, რადგან, როგორც ჩანს, განუკურნებლად ვარ დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში. „არაუშავს, უფალო, მე ამას ჩემით გავაკეთებ. ამჯერად შენ არ უნდა დამეხმარო.“ მაშინ, როდესაც სრულიად წარუმატებელი ვარ, იესო მახსენებს: „ჩემ გარეშე ვერაფერს გააკეთებ“.

ამ წინადადების სიმართლე ჩემს ცხოვრებაში არაერთხელ დავამტკიცე. ქრისტეს გარეშე არაფრის გაკეთება არ შემიძლია. ძალიან სუსტი და უმწეო ვარ.

მეორე მხრივ, კიდევ ერთი ლამაზი ჭეშმარიტება აღმოვაჩინე, რომელიც პავლემაც აღმოაჩინა. „ყოველივე ძალმიძს ჩემი გამაძლიერებლის, ქრისტეს მეშვეობით“ (ფილიპელთა 4:13). მის გარეშე სრულიად უმწეო ვარ და ძალა არ მაქვს. ქრისტეს მეშვეობით მაქვს ძალა, რომ ნებისმიერ სიტუაციას გავუმკლავდე და ნებისმიერი სირთულე დავძლიო. მე თვითონ - სუსტი, მაგრამ მასში ძლიერი ვარ.

ზოგიერთი ადამიანი ძლიერია, საკუთარ შესაძლებლობებს ენდობა და თავისი დამოუკიდებლობითა და ძალით ხარობს. თუმცა, რაც არ უნდა ძლიერად ესახებოდეს ადამიანს საკუთარი თავი, დადგება დღე, როცა საკუთარ რესურსს ამოწურავს და ბოლოს აღიარებს: „არ შემიძლია! ვერ გავაგრძელებ!“

როდესაც იმ ადამიანის ცხოვრებაში, რომელმაც მხოლოდ საკუთარი თავის ნდობა იცის, ეს დღე დგება, მისთვის ეს ტრაგიკული და დამღუპველია დღეა. მაგრამ იმ ადამიანისთვის, რომელმაც ისწავლა უფალზე მინდობა, ეს დღე არაფრით განსხვავდება სხვისგან, რადგან მან ყოველი დღის ღმერთისთვის გადაცემა ისწავლა. ადამიანი, რომელიც თვითდაჯერებული, თავნება და თვითშემდგარია, საბოლოოდ დაეცემა, მაგრამ ადამიანი, რომელმაც თავისი ძალების უფალზე მინდობა ისწავლა, არასოდეს დაეცემა. სანამ საკუთარ თავსა და საკუთარ რესურსებს ვუყურებ, ჩემი ადამიანური საზღვრები ყოველთვის შემზღუდავს, მაგრამ თუ ღმერთსა და მის რესურსებს ვენდობი, მაშინ შემიძლია წვდომა მქონდეს მის უსაზღვრო შესაძლებლობებთან.

ვერასდროს გადავეყრები სიტუაციას, რომელიც ძალიან დიდია იმისთვის, რომ ღმერთთან ერთად გავუმკლავდე. არ არსებობს ისეთი დიდი დაბრკოლება, რომელსაც მე და ღმერთი ვერ გადავლახავთ. არ არსებობს იმდენად ძლიერი მტერი, რომ მე და ღმერთმა ვერ დავამარცხოთ. მე და ღმერთი ნებისმიერ ხალხში უმრავლესობას ვქმნით! თუ ღმერთი ჩემთანაა, ვინ შეიძლება იყოს ჩემს წინააღმდეგ? (რომაელთა 8:31). თქვენი რესურსებისა და ძალების ღმერთისთვის დამორჩილება ისწავლეთ. 2 კორინთელთა 12:9-ში პავლე თავის უძლურებასა და სისუსტეებზე საუბრობს. მან თქვა, რომ სიამოვნებდა თავისი სისუსტეები, რადგან როცა სუსტი იყო, მაშინ იყო ძლიერი. ჩემი ყველაზე დიდი სისუსტე იქაა, სადაც თავს ყველაზე ძლიერად ვგრძნობ ხორცში და უფლის დახმარება არ მჭირდება. და პირიქით, ჩემი უდიდესი ძალა იქაა, რაშიც ვიცი, რომ სუსტი ვარ და უფლის დახმარების გარეშე ვერაფერს გავაკეთებ.

ღმერთი ჩვენი ძალის წყაროა, მაგრამ ლოცვაა არხი, რომლის მეშვეობითაც ღმერთი თავის ძალას გვაძლევს.

ლოცვა მოქმედებაში

ნეემია სიტყვისა და ლოცვის კაცი იყო. როდესაც ხანანი და სხვა მოგზაურები იერუსალიმიდან დაბრუნდნენ, ნეემიამ ისინი თავისი საყვარელი ქალაქის შესახებ გამოკითხა. ხანანმა მას იერუსალიმში არსებული ცუდი მდგომარეობის შესახებ უთხრა. „კედლები დანგრეულია. ხალხი დემორალიზებულია. ძლივს არსებობენ. ყველა მათი მტრისთვის ადვილი ნადავლი არიან. არ აქვთ თავდაცვა. ქალაქი დანგრეულია!“

როდესაც ნეემიამ იერუსალიმის, ღვთის წმინდა ქალაქის მდგომარეობა შეიტყო, უფლის წინაშე ატირდა. შემდეგ იმარხულა, ილოცა და ღმერთის წინაშე თავისი ხალხისა და საკუთარი ცოდვები აღიარა. მან ასევე იერუსალიმის მიმართ ღვთის განაჩენის სამართლიანობა აღიარა. ყურადღება მიაქციეთ, სიტყვას ლოცვაში როგორ იყენებდა. მან თქვა: „გაიხსენე, გემუდარები, სიტყვა, რომელიც ამცნე მოსეს, შენს მსახურს: თუ მიორგულებთ, ხალხებში გაგაბნევთო. ხოლო თუ მომიბრუნდებით, დაიცავთ ჩემს მცნებებს და აღასრულებთ მათ, ცის კიდემდე რომ იყოთ გაბნეულნი, იქიდან მოგაგროვებთ და მოგიყვანთ იმ ადგილას, რომელიც ჩემი სახელის დასავანებლად ამოვირჩიეო!“ (ნეემია 1:1-11).

იერუსალიმის აღდგენა და აღორძინება ტვირთი იყო ნეემიას გულზე. ბიბლია გვიჩვენებს, როგორ გააღო ღმერთმა კარი ნეემიას ლოცვისთვის პასუხის გასაცემად.

ნეემია შუშანში სპარსეთის მეფის მწდე იყო. ამ პრესტიჟულმა თანამდებობამ მეფესთან ყოველდღიური კონტაქტის საშუალება მისცა. ერთ დღეს მან მეფეს თასი მიართვა. მანაც ჰკითხა: „ნეემია, დღეს ასე მოწყენილი რატომ ხარ? ასეთი ნაღვლიანი არასდროს მინახავხარ“.

ნეემიამ უპასუხა: „ახლახანს იერუსალიმის შესახებ ცნობა მივიღე. ის განადგურებულია და ხალხი დემორალიზებულია. როგორ ვიყო ბედნიერი, როცა ქალაქი, რომელიც მიყვარს, ასეთი გაპარტახებულია?“

მეფემ თქვა: „რა გინდა რომ გავაკეთო?“

ნეემია გვეუბნება: „ვილოცე ცათა ღმერთის წინაშე და მეფეს მივუგე...“ როდესაც მეფემ თქვა: „რას ითხოვ ჩემგან?“ ნეემია ლოცულობდა: „სწრაფად, ღმერთო, მიშველე! რა ვთქვა?“ (ნეემია 2:1-4).

ნეემია ჯერ ლოცულობდა და შემდეგ მოქმედებდა. ეს არის სწორი თანამიმდევრობა: ჯერ ილოცეთ, შემდეგ იმოქმედეთ. ჩვენ რომ მოქმედებამდე ყოველთვის გველოცა, რა თქმა უნდა, ხშირ შემთხვევაში, სულ სხვანაირად მოვიქცეოდით. დაუფიქრებელი ან შეუფერებელი მოქმედებისკენ არ ვიქნებოდით მიდრეკილნი. ბიბლია გვპირდება: „ყოველ შენს გზაზე შეიცანი უფალი და ის მოგისწორებს ბილიკებს“ (იგავები 3:6). ლოცვა ნეემიას ცხოვრების იმდენად მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რომ მის მოქმედებებს წინ უსწრებდა.

მეფის კითხვას ნეემიამ იერუსალიმის კედლების აღდგენის ნებართვის თხოვნით უპასუხა. მეფემ ნეემიას თხოვნა დააკმაყოფილა და იერუსალიმში ხალხი გააყოლა.

როდესაც ნეემია და მისი ხალხი კედელს აშენებდნენ, მათი მტრები გარს შემოერტნენ და ისრაელიანების დამარცხებას მათი დაცინვითა და კუნსტრუქციის აბუჩად აგდებით ცდილობდნენ. ბევრჯერ სატანა დაცინვას იყენებს, რათა ხელი ღვთის საქმეში შეგიშალოთ. ის ამბობს: „შენი თავი ბილი გრემი ხომ არ გგონია? მსოფლიოს გადასარჩენად მოხვედი?“ დაცინვა ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელსაც მტერი თქვენი

ძალისხმევის ღვთისაგან განცალკევებისთვის იყენებს. და ეს ძლიერი ინსტრუმენტია. არცერთ ჩვენგანს არ მოსწონს დაცინვა. ძალიან ხშირად სწორედ ეს აჩერებს ადამიანის მსახურებას ღმერთისთვის.

მაგრამ ნეემია სწორად მოიქცა. ნაცვლად იმისა, რომ თავად შებრძოლებოდა მტერს და დაცინვაზე ეპასუხა, ლოცულობდა: „ისმინე, ღმერთო ჩვენო, რადგან მოგვიძულეს, მათი დაცინვა მათვე მიუბრუნე და ნადავლად აქციე ისინი თავისი ტყვეობის ქვეყანაში“ (ნეემია 4:1-5). დაცინვას არ უპასუხო. ბევრად უკეთესია, ყველაფერი უფალს მიანდო და მან დაგიცვას. მასში აუცილებლად იქნები ძლიერი.

როდესაც მტერი მიხვდა, რომ კედლის აღდგენას დაცინვით ვერ აფერხებდნენ, ღამით შეტევა და დანგრევა დააპირეს. ნეემიამ შეთქმულების შესახებ გაიგო და უპასუხა. „ჩვენ კი ვილოცეთ ჩვენი ღმერთის წინაშე და დაცვა დავაყენეთ მათ გამო დღითა და ღამით“ (ნეემია 4:9).

ეს მნიშვნელოვან სათქმელს გვახსენებს. ლოცვა უსაქმურობის ან სულელური მოქმედების საბაბი არასოდეს არ უნდა იყოს. ღმერთმა საღი აზრი მოგცა და ის შენგან მის გამოიყენებას მოელის. თუ მტერი გემუქრება, ჯერ ილოცე, მაგრამ შემდეგ თავი დაიცავი. ლოცვის შემდგომი მოქმედება რწმენის ნაკლებობას არ ნიშნავს.

იყავი პრაქტიკული. თუ ღმერთს შენი ცუდი მხედველობის განკურნებას სთხოვ, სათვალეს მანამ ნუ გადააგდებ, სანამ ოფთალმოლოგი ხელახლა არ გაგსინჯავს და იტყვის, რომ განიკურნე. ლოცვამ დაუფიქრებელ ან დაუდევარ ქმედებებამდე არ უნდა მიგიყვანოს. მან რეალურად შენში შრომისმოყვარეობა უნდა წარმოქმნას. სინამდვილეში, ლოცვა მოქმედებაში უფრო ხშირად მოგიყვანს, ვიდრე უმოქმედობაში. ჯერ ილოცე და შემდეგ გადადგი ნაბიჯები.

ზოგიერთი ადამიანი ძალიან ზარმაცია და ფიქრობს, რომ ღმერთი ყველა საქმეს მათ მაგივრად გააკეთებს. რამეს შეეკითხები და გეუნებიან: „ამას უფლის ხელში ვტოვებ“. არა! უფალი თქვენგანაც მოელის, რომ იმოქმედოთ!

მაგალითად, თუ სამსახური გჭირდება, უბრალოდ არ ჯდები სახლში და არ ელოდები, რომ ვინმე დაგირეკავს. ღმერთს სთხოვ, რომ სამსახური გამოგიჩინოს. შემდეგ განცხადებებს წარადგენ ყველგან, სადაც შეგიძლია და უფალს ენდობი, რომ ის იმ სამუშაოს კარს გააღებს, რომელიც მას სურს, რომ გქონდეს. უბრალოდ არ დაჯდე და არ თქვა: „კარგი, უფალო, სამსახური მომეცი“. როდესაც უნდა ჭამო, არ რჩები საწოლში და არ ამბობ: „უფალო, თუ გინდა, რომ დღეს ვჭამო, უბრალოდ საჭმელი ჩამიყარე პირში“. თუ ამ სფეროში არ პასიურობ, შენი ცხოვრების არც სხვა სფეროების მიმართ არ უნდა პასიურობდე.

„შევევედრეთ ღმერთს და მტერს ვაკვირდებით.“ - თქვა ნეემიამ. ისრაელიანებმა კედელი ერთ ხელში ნიჩბითა და მეორეში მახვილით ააგეს. მტერმა დაინახა, რომ ისინი შეიარაღებულები და მომზადებულები იყვნენ, ამიტომ არ შეუტია; სამაგიეროდ, იერუსალიმის განადგურების ახალი გზები დაგეგმა.

ნეემიამ, იცოდა, რომ მტერი მისი და მისი ხალხის ხელების დასუსტებას ცდილობდა, და ამიტომაც ლოცულობდა: „ღმერთო, ახლა უფრო განმიმტკიცე ხელები“ (ნეემია 6:9). ნეემია, ლოცვის კაცი იყო, რის შედეგადაც, მოქმედებისა და ძალის მქონე კაციც გახდა.

ლოცვის კაცი

რა შეადგენს ლოცვის კაცს? პირველ რიგში, ის ლოცულობს ყველაფერზე - როგორც წვრილმანზე, ისე დიდზე. ხშირად, წვრილმანებზე ლოცვა არ გვსურს, რადგან გვეშინია, რომ ღმერთს წვრილმანებით შევაწუხებთ. ის იმდენად დაკავებულია სამყაროს მართვით, რომ ჩემი ცხოვრების წვრილმანებზე ზრუნვა აღარ სჭირდება. მაგრამ იესომ თქვა, რომ ჩვენმა ზეციერმა მამამ ისიც კი იცის, ბეღურა მიწაზე როდის ეცემა. ამრიგად, რამდენად მეტი იცის მან ჩვენი ყველა საჭიროების შესახებ? (ლუკა 12:6-7).

ბიბლია ამბობს: „ყოველგვარ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს“ (ფილიპელთა 4:6). თუ ვინმე მართლა გიყვარს, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად ხშირად დარეკავს ან რაზე დარეკავს, უბრალოდ გიხარია მასთან საუბარი. ღმერთს ძალიან უყვარხარ, მას არ აინტერესებს რამდენად უმნიშვნელო შეიძლება იყოს შენი საჭიროება. მას უბრალოდ უყვარს შენი მოსმენა.

იესომ თქვა: „ადამიანებმა მუდამ უნდა ილოცონ და არ მობეზრდეთ“ (ლუკა 18:1). რატომ კარგავს ამდენ ადამიანი ლოცვის სურვილს? ხშრად მესმის ხალხისგან: „არ ვიცი, რას ვაპირებ! არ ვიცი, საით წავიდე“. ბეზრდებათ. ლოცვით ისწავლეთ ღვთის მადლის შესახებ. ისწავლეთ ყველა სიტუაციის გადაცემა ღმერთისთვის, რათა თქვენი ცხოვრება მისი ხელით გაძლიერდეს.

ნეემიას ღმერთთან მჭიდრო მეგობრობის შედეგად, ქალაქის კედლები 52 დღეში აღადგინეს. სხვები იერუსალიმის იმავე კედლების აღდგენას თითქმის 100 წლის განმავლობაში ცდილობდნენ! ამავდროულად, ხალხში სულიერი გამოღვიძება მოხდა. ღვთისთვის ფიზიკური საქმის შესრულებასთან ერთად, ნეემია და მისი ხალხი, სულიერ საქმესაც ასრულებდნენ. ისრაელიანები იმდენად აღფრთოვანდნენ, მათი კედლების აღდგენითა და ხელახლა, უსაფრთხოდ დასახლების შესაძლებლობით, რომ უფლის თაყვანისცემისთვის შეიკრიბნენ. ტაძარში მწიგნობარმა ეზრამ ღვთის რჯული გამოიტანა და ხალხს წაუკითხა, რასაც თან ახლდა ღვთის წინაშე ტირილი და მონანიება. ხალხის გული უფალს მიუბრუნდა (ნეემია 8-9).

ლოცვასა და ღმერთთან მოზიარეობაში მცხოვრებ ერთ ადამიანს წარმოუდგენელი შედეგების მიღწევა შეუძლია!

როდესაც დღეს გარშემო მიმოვიხედავ, ვხედავ, რომ გაჭირვებულ სამყაროში ვცხოვრობთ. ადამიანები გვჭირდება, რომლებიც ღმერთთან ერთად ცხოვრობენ, რომლებმაც ღმერთის ძალა იციან და მზად არიან ღვთის საქმის შესასრულებლად ილოცონ. განა რატომ არ უნდა გახდე მლოცველი კაცი ამ ღარიბი, დაკარგული სამყაროს, ერის, ქალაქის, სკოლების ან შესაძლოა საკუთარი ოჯახის გულისათვის.

6. ილოცე და გიპასუხებ

ყოველთვის მაინტერესებს ლოცვები, რომლებსაც ბიბლიაში ვხვდებით, განსაკუთრებით კი შედეგიანი ლოცვები. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია იაყბეცის ლოცვა ძველ აღთქმაში. მის სიტყვებზე დაკვირვებით ლოცვის შესახებ ღირებული გაკვეთილის სწავლა შეგვიძლია.

რომელ ღმერთს ემსახურები

უპირველეს ყოვლისა, ბიბლია აცხადებს, რომ როდესაც იაყბეცი ლოცულობდა, მან „მოუხმო ისრაელის ღმერთს“ (1 ნეშტთა 4:10). რომელ ღმერთს მიმართავ, როცა ლოცულობ?

შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც ძალიან დაუდევრად და დაუფიქრებლად ცხოვრობენ. გარეგნულად ისინი ძალიან ცოდვილ ცხოვრებას ეწევიან. ლაპარაკის დროს ხვდებიან, რომ პასტორი ვარ და, როგორც წესი, მეუბნებიან: „ვიცი, რომ ისე არ ვცხოვრობ, როგორც უნდა ვცხოვრობდე, მაგრამ ყოველ ღამე ვლოცულობ. ლოცვის გარეშე არასოდეს ვიძინებ.“

როცა ეს ხალხი ლოცულობს: „ახლა დასაწოლად მომზადებული, გევედრები უფალო...“ - ამ დროს ვის მიმართავენ? ვინ არის მათი ცხოვრების ნამდვილი „უფალი“?

„უფალი“ არა სახელი, არამედ ტიტულია. ხალხი ბევრ განსხვავებულ ღმერთს, ბევრ განსხვავებულ ბატონს ემსახურება. ვინ არის შენი ცხოვრების უფალი? მნიშვნელოვანია იცნობდე მას, ვისაც შენს ლოცვებში მიმართავ. იესომ თქვა, რომ ყველა, ვინც ამბობს: „უფალო, უფალო“, როდი შევა ცათა სასუფეველში.

ღმერთმა უთხრა იერემიას, რომ როცა ისრაელის ხალხი მოუწოდებდა მას, ის აღარ მოუსმენდა მათ. შემდგომ, როდესაც მათ გაუჭირდებოდათ, ღმერთისთვის აღარ უნდა ეთხოვათ დახმარება. დაე, მოუხმონ ღმერთებს, რომლებსაც ისინი ემსახურებიან (იერემია 11:12). ასე რომ, როდესაც ისრაელმა შესძახა: „ღმერთო, გვიშველე.“ ისინი შეიძლება ბაალს, მოლექს ან იშთარს გულისხმობდნენ.

ეს ტრაგიკული დღეა, როდესაც ღმერთი ადამიანს ბოლოს ეუბნება: „საკმარისია! შენ უდარდელად იცხოვრე, თაყვანს სცემდი და ემსახურებოდი ყველაფერს ჩემ გარდა, მაგრამ როცა გაჭირვებაში ხარ, მე მეძახი. შემდეგში, როდესაც გაჭირვებაში იქნები, იმ ღმერთებს დაუძახე, რომლებსაც ემსახურები“.

შენი ცხოვრების უმაღლესი გატაცებაა რეალურად შენი ღმერთი. მაგალითად, დღეს ბევრი ადამიანი თაყვანს სცემს და ემსახურება საკუთარ ინტელექტს. ისინი ამბობენ: „იცოდე და გესმოდეს, უდიდესი სიკეთეა. მე ვერ მივიღებ უზენაესი არსების იდეას, რადგან არ მჯერა არაფრის, რასაც ჩემი გონების საზღვრებში ვერ მოვაქცევ“. ამიტომ, როდესაც ისინი ლოცულობენ „ღმერთო“, ისინი რეალურად ლოცულობენ საკუთარი ინტელექტის მიმართ.

ძველად ადამიანები სახელებს არქმევდნენ და თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა ღმერთებს, მაგრამ ჩვენ დღეს ძალიან დახვეწილები ვართ იმისთვის, რომ ჩვენს ღმერთებს უძველესი სახელები მივცეთ. დღეს ადამიანს შეუძლია საკუთარ ვნებებს ემსახუროს, მაგრამ თუ ჰკითხავთ, ვინ არის მისი ღმერთი, ის არ იტყვის, „ვენერა, სიყვარულის ქალღმერთი“. ის უბრალოდ იტყვის: "მე შეყვარებული ვარ. მე მჯერა, რომ ადამიანი საუკეთესოს უნდა ეძებდეს ცხოვრებისგან. სიყვარული ყველაზე აღმატებულია. ამიტომ, სიყვარულის ქმნა ადამიანის

უმთავრესი მიზანია.“ როცა ასეთი ადამიანი ღაღადებს: „ო, ღმერთო“, ასევე შესაძლოა ღაღადებდეს: „ო, ვენერა!“

არიან სხვებიც, რომლებიც სიამოვნების პრინციპს აღმერთებენ. ისინი მთელი კვირის მანძილზე გონებაში მხოლოდ ერთი აზრით ცხოვრობენ და მუშაობენ: შაბათ-კვირა. „პარასკევს ღამით ფურგონში ჩავსხდებით, ჩასაბმელზე ნავს დავაკრავთ, უკან დუნ ბაგის ჩავუბამთ და მდინარისკენ დავიძრებით! რა შაბათ-კვირა გვექნება!“ მთელი კვირის განმავლობაში ისინი იმ ამაღელვებელ მომენტებსა და სიამოვნებაზე ფიქრობენ, რაც შაბათ-კვირას ელოდებათ. ყოველ ღამით დაფუსფუსებენ სახლის გარშემო,რომ პარასკევ საღამოს გზას გაუდგნენ.

არსებობდა უძველესი რწმენა, რომლის მიმდევარნიც სიამოვნებას ეთაყვანებოდნენ. ისინი თავიანთ ღმერთს მოლექს უწოდებდნენ. დღეს, როდესაც ბევრი ადამიანი ღაღადებს „ღმერთო“, რეალურად მოლექს შეჰღაღადებს, რადგან სინამდვილეში ისაა მათი ღმერთი.

არიან სხვები, რომლებიც ძალაუფლების პრინციპს აღმერთებენ. „ვინც ძლიერია, სიმართლეც მის მხარესაა.“ ისინი ფლობასა და ქონას ეშურებიან. მუდმივად ცდილობენ მეტი ფული მიიღონ და მეტი ქონება დააგროვონ. მათი გონება ყოველთვის აანალიზებს, თუ როგორ უნდა შემცირდეს ეს, გაზარდოს ის, ინვესტირება მოახდინოს აქ ან იქ. ისინი მეორე სამუშაოს იწყებენ. მათი ინტერესები ფულზე, ფულზე და კიდევ უფრო მეტ ფულზეა ორიენტირებული. ეს ძველი ღმერთის - მამონას თაყვანისცემაა. როცა ამ ხალხს უჭირს, ისინი ღაღადებენ: „ღმერთო!“ მაგრამ მათ ღმერთს მათი არ ესმის.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ჩვენს ლოცვებზე პასუხის გაცემის პერსპექტივა მთლიანად მასზეა დამოკიდებული, ვისაც მივმართავთ. შეიძლება მითხრათ: „ჩაკ, ასი ათასი დოლარი მჭირდება. არ იცი, რა საშინლად მჭირდება. თუ არ მივიღებ, არ ვიცი, რას ვიზამ!“

შეგიძლია მთელი კვირა, მთელი თქვე ან ორი წელი მეხვეწო, მაგრამ ჩემგან ამ თანხის მიღების შანსიც არ გაქვს, რადგან უბრალოდ არ მაქვს. ისეთ ვიღაცას სთხოვ, ვისაც შენი თხოვნის დაკმაყოფილების ძალა და უნარი არ გააჩნია.

როდესაც ბაალის წინასწარმეტყველები თავიანთ ღმერთს სამსხვერპლოზე ცეცხლის გამოგზავნას ევედრებოდნენ, მთელი დილა ღაღადებდნენ: „ო ბაალ, გამოგზავნე ცეცხლი!“ მაგრამ ცეცხლი არ მოდიოდა. შუადღისას ელიამ თქვა: „ბიჭებო, დაგენაძლევებით, პრობლემა იმაშია, რომ თქვენს ღმერთს თქვენთვის არ სცალია, ან ეგებ სძინავს და გაღვიძება სჭირდება. ხმამაღლა რატომ არ იყვირებთ? იქნებ მერე მაინც გაიგოს.“ მათაც უფრო ხმამაღლა დაიწყეს ყვირილი. მალევე ბაალის ყურადღების მისაპყრობად სხეულების დასერვა და სამსხვერპლოზე ხტომა დაიწყეს (1 მეფეთა 18:26-29). შეეძლოთ სამუდამოდ გაეგრძელებინათ ასე, მაგრამ მაინც არ ჩამოვიდოდა ცეცხლი მსხვერპლის შთანთქმისთვის. რატომ? იმიტომ, რომ მათ ღმერთს პასუხის გაცემის უნარი არ ჰქონდა.

სიყვარულის, ფულის, სიამოვნების ან ინტელექტის გაღმერთება უპიროვნო და უძლური ძალების გაღმერთებაა. რეალური გასაჭირის ჟამს ამ ღმერთებს არაფერი შეუძლიათ. მაგრამ როდესაც მე იეჰოვაჰს („მე ვარ“-ს), ისრაელის ღმერთს ვეძახი, ვიცი, რომ მას იმაზე მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ვთხოვ ან ვფიქრობ (ეფესელთა 3:20). ღმერთის ძალას დასასრული არ აქვს. როდესაც მას შევღაღადებ, შეუძლია ჩემი საჭიროებები დააკმაყოფილოს. „ასი ათასი დოლარი? სულ ეს არის?“ ღმერთისთვის ძალიან მარტივია ჩემი ნებისმიერი საჭიროების დაკმაყოფილება, რაც არ უნდა იყოს ეს.

როდესაც იეჰოვაჰ ღმერთია ის, ვისაც მე მოვუხმობ, მისთვის რთული არაფერია, მაგრამ თუ ვენერას, მოლექს, მამონას ან ბაალს მივმართავ დასახმარებლად, მაშინ ნამდვილად უიმედოდ ვარ. რეალური საჭიროების დროს, როცა სასოწარკვეთილი ვტირი, ისინი უბრალოდ აქ არ არიან, ჩემს დასახმარებლად.

ცხოვრება ცარიალელი და უშინაარსოა მათთვის, ვინც სიამოვნებისთვის ცხოვრობს. გაჭირვების დროს ბევრი ადამიანის გვერდით ვმდგარვარ. როცა მათი შვილი საავადმყოფოს საწოლზე წევს და ექიმი საოპერაციოდან თავის ქნევით გამოდის, ისე მიყურებენ, თითქოს მეუბნებიან: „რამე გააკეთე, მქადაგებელო!“ მათი სიამოვნების ღმერთი იმ დროს ისეთი ხელცარიელია. მას ძალიან მცირე კომფორტის, დახმარებისა და იმედის შეთავაზება შეუძლია.

მაგრამ დიდებულია იმის ცოდნა, რომ როდესაც თაყვანს იეჰოვაჰს სცემ და მას მიმართავ, როგორც შენს უფალს, მას შეუძლია დახმარება და არა მხოლოდ შეუძლია, არამედ მზადაა და სურს კიდეც დახმარება.

პავლემ მარსის მთაზე ათენელებს უთხრა, რომ ღმერთი, რომლის შესახებაც სურდა მათთან საუბარი, რომელსაც შეუცნობელ ღმერთს უწოდებდნენ, ისაა, ვინც ცა და დედამიწა შექმნა და ყველაფერი, რაც მათშია. „მასში ვცოცხლობთ, ვიძვრით და ვარსებობთ“ (საქმეები 17:22-28). სწორედ მას მივმართავ, როცა ვლოცულობ - ის, ვინც ჩემი ცხოვრების უფალი და მმართველია.

იაყბეცის სათხოვრები

ახლა გადავხედოთ იაყბეცის სათხოვრებს. უპირველეს ყოვლისა, იაყბეცმა ისრაელის ღმერთს მოუწოდა და უთხრა: „ნეტავ კურთხევით მაკურთხებდე“ (1 ნეშტთა 4:10). იაყბეცს არ რცხვენოდა ეთქვა: „მაკურთხე.“ და არც მე მრცხვენია, რომ ღმერთს კურთხევა ვთხოვო. მინდა ღმერთმა მაკურთხოს. მინდა ყოველი კურთხევა, რაც ღმერთს ჩემთვის აქვს გამზადებული. თუ მინდა სხვებისთვის ვიყო კურთხევა, პირველ რიგში, მე უნდა მივიღო ღვთის კურთხევა.

ახლა დააკვირდით კურთხევებს, რომლებსაც იაყბეცი ითხოვდა. უპირველეს ყოვლისა, მან თქვა: „ნეტა კურთხევით მაკურთხებდე და საზღვარს განმივრცობდე“ (1 ნეშტთა 4:10). იუდეველები აღთქმულ ქვეყანაში შევიდნენ, მაგრამ მიწის დიდი ნაწილი მტრის ხელში იყო. ღმერთი მათ მთელ ქვეყანას დაჰპირდა, მაგრამ ღვთის სრული აღთქმა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული. ამგვარად, იაყბეცი ლოცულობდა: „უფალო, გააფართოვე ჩემი საზღვრები“, უფრო რეალურად კი - „დამეხმარე, ვფლობდე ყველაფერს, რაც შენ მომეცი.“

მეც ასე ვლოცულობ საკუთარ ცხოვრებაზე. „უფალო, დამეხმარე, დავიმკვიდრო ყველაფერი, რაც მომეცი და რასაც დამპირდი.“ ღმერთმა უხვი და ძვირფასი აღთქმები მოგვცა. ქრისტე იესოში დიდებულ სულიერ ატმოსფეროში ცხოვრება შეგვიძლია, მაგრამ ფსკერზე დარჩენასა და ჭუჭყში ჩაძირვას ვირჩევთ. შენ შეგიძლია აქ, ქვემოთ ისიამოვნო, მაგრამ მე ზემოთ ვისიამოვნებ. ამგვარად ვლოცულობ: „უფალო, მაკურთხე და დამეხმარე ყველაფერს დავეუფლო, რაც შენ მომეცი. მადლობას გიხდი იმისთვის, რაც უკვე გააკეთე ჩემთვის, უფალო, მაგრამ კიდევ უფრო ბევრს დამპირდი...“

ბოლოს და ბოლოს, ღმერთის გეგმას რატომ უნდა დაუკეტო კარი? ზოგი ამბობს: „ნამდვილად არ მგონია, რომ სულის ნიჭები მჭირდება.“ პირადად მე ყველაფერი მჭირდება, რაც ღმერთმა უნდა მომცეს. მე არა მხოლოდ მჭირდება ყველაფერი, რისი მოცემაც მან შემომთავაზა, არამედ, მინდა ყველაფერი, რასაც გასცემს.

როდესაც ღმერთთან მივდივარ, არცერთ კარს არ ვკეტავ. ვეუბნები: „კარგი, უფალო, აქა ვარ. შენი გზით იმოქმედე. შენს გზაზე რაიმე შეზღუდვის დაყენების უფლებას ნუ მომცემ. ჩემი საზღვრები გააფართოვე და ნება მომეცი ყველა შენს დანაპირებს დავეუფლო.“ ყოველთვის, როდესაც ღმერთს რაიმეს ვკარნახობ (თუ რა კურთხევებს მივიღებ და რაზე ვეტყვი უარს), რეალურად საკუთარ სიბრძნეს მისაზე მეტად ვამაღლებ. ვამბობ, რომ ჩემი საჭიროებები იმაზე უკეთესად ვიცი, ვიდრე მან. „ღმერთო, შეგიძლია ჩემთვის ესა და ეს გააკეთო, მაგრამ არ მინდა, რომ აი ის გააკეთო.“

მე ასე არ ვიქცევი! მე ვლოცულობ: „გაზარდე ჩემი საზღვრები, უფალო. მაკურთხე. გააკეთე ყველაფერი, რისი გაკეთებაც გინდა ჩემს ცხოვრებაში.“

შემდეგ იაყბეცმა ილოცა: „შენი ხელი ჩემთან იქნებოდეს“ (1 ნეშტთა 4:10). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღვთის ხელი ჩემი ცხოვრების ყველა საქმეზე იყოს. სახიფათოა ღვთის ხელის გარეშე რაიმე პროექტის განხორციელება.

უთხრა მოსემ უფალს: „თუ თავად შენ არ წაგვიძღვები, აქედან ნუ გაგვიყვან“ (გამოსვლა 33:15). უფალო, ნუ წამიძღვე იქ, სადაც ჩემთან ერთად არ იქნები. დარწმუნებით, კომფორტულად და ძლევამოსილებით სვლა მხოლოდ მაშინ შემიძლია განვაგრძო, როდესაც ვიცი, რომ ჩემს სიცოცხლეზე ღვთის ხელია. მეტად აღარ მჭირდება კანკალი.

იაყბეცის შემდეგი სათხოვარი იყო: „დამიფარე ბოროტებისგან“ (1 ნეშტთა 4:10). ეს ისეთი მნიშვნელოვანი ლოცვაა, რომ იესომ იგი უფლის ლოცვაში ბოლო ვედრებად შეიტანა. „გვიხსენი ბოროტისაგან“ (მათე 6:13). ბოროტი მუდამ ცდილობს, თავის მახეში შეგვიტყუოს. მე მარტივად ვვარდები მტრის მახეში და სიძულვილს უფლებას ვაძლევ ჩემს ცხოვრებას დაეუფლოს, სიმწარეს უფლებას ვაძლევ მაკონტროლოს, ანდაც ბოროტებას ვაძლევ უფლებას, რომ ხელში ჩამიგდოს. ძნელია მართლის ცხოვრება. სინამდვილეში, ჩვენი ადამიანური ენერგიით ეს შეუძლებელია. მართალი ცხოვრებისთვის ჩემში ღვთის სულის ძალა მჭირდება.

შემდეგ იაყბეცმა განაგრძო: „დამიცავდე ბოროტებისგან, რომ არ გავიტანჯო!“ (1 ნეშტთა 4:10). ბოროტების უპირველესი შედეგი ძალიან იშვიათადაა მწუხარება. ბოროტების პირველადი შედეგი საკმაოდ ხშირად მღელვარება და აღფრთოვანებაა. ბოროტებას ხშირად ძალიან აყვავებული სახე აქვს. „ნახე, ფულის გამომუშავების რა მარტივი გზაა. რა თქმა უნდა, ეს გზა არც ისე პატიოსანია, მაგრამ შეხედე მოგებას, რომლის მიღებაც შემიძლია და ნახე, რას გავაკეთებ ამ მოგებიდან!“

ბოროტების უპირველესი შედეგი შეიძლება სიხარული, აღელვება ან სიამოვნება იყოს, მაგრამ საბოლოო შედეგი ყოველთვის მწუხარებაა. შეიძლება ახლა ასე არ ფიქრობ. ცოდვა შეიძლება დღეს ძალიან ამაღელვებლად გეჩვენება, მაგრამ ბრძენი ადამიანი იმ გზის საბოლოო დანიშნულებას ყოველთვის განიხილავს, რომელზეც მიდის. სად მიგიყვანს შენი გზა? თუ ეს ბოროტების გზაა, ჩემო მეგობარო, მწუხარებამდე მიგიყვანს. 73-ე ფსალმუნში ასაფმა თქვა, რომ მას შურდა უგუნურების, როდესაც ბოროტების კეთილდღეობას ხედავდა. ამან მისი ცხოვრება და უფლისადმი ერთგულება კინაღამ დააბრკოლა, სანამ მათი ბოროტების საბოლოო შედეგებს არ განიხილავდა.

იგავებში სოლომონმა თავისი ვაჟი მეძავის შესახებ გააფრთხილა. „რადგან გოლეულ თაფლს აწვეთებენ ბაგენი უცხო ქალისა და ზეთზე ნაზია მისი საუბარი. ნაღველივით მწარეა მისი ბოლო და ბასრი - ორლესული მახვილივით. სიკვდილში ჩადის მისი ფეხები, ქვესკნელისკენ მიემართება მისი ნაბიჯები“ (იგავები 5:3-5).

ერთი შეხედვით შეიძლება ამაღელვებლად გამოიყურებოდეს, მაგრამ დასასრული სიკვდილი და ჯოჯოხეთია. სოლომონმა განაცხადა: „არის გზა, რომელიც სწორი ჩანს კაცის წინაშე, მისი ბოლო კი სიკვდილის გზაა“ (იგავები 14:12).

პასუხები

რა შედეგი მოჰყვა იაყბეცის ლოცვას? ბიბლიაში ნათქვამია: „ღმერთმა მისცა მას ის, რაც მან ითხოვა“. დიდება უფალს! იაყბეცმა ღმერთს სთხოვა, რომ ეკურთხებინა. უფალს მისი საღვრების გაფართოება სთხოვა და უფალმაც გააფართოვა მისი საზღვრები. თქვა იაყბეცმა: „უფალო, შენი ხელი ჩემთან იყოს“ და ღმერთმა დაიჭირა ხელი მასზე. მან თქვა: „უფალო დამიფარე ბოროტისაგან“ და უფალმა დაიცვა იგი ბოროტებისგან.

დიდებულია იმის ცოდნა, რომ შემიძლია ვილოცო და თუ ვლოცულობ ღვთის ნების მიხედვით, ბიბლია გვპირდება,

„როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“ (1 იოანე 5:14-15).

შემიძლია დაჯერებით ვილოცო, რომ ღმერთმა მაკურთხოს, ჩემი საზღვრები გააფართოვოს, მისი ხელი ჩემზე იყოს და ბოროტებისგან დამიფაროს, რადგან ესაა ღმერთის ნება ჩემი ცხოვრებისთვის.

სთხოვე და შენც მიიღებ. იესომ თქვა: „ითხოვეთ [გთხოვთ, ითხოვეთ] და მიიღებთ, რათა სრულყოფილი იყოს თქვენი სიხარული“ (იოანე 16:24).

7. ულოცველობის ცოდვა

უფალთან სიარულისას ღმერთი იმ უმაღლეს საფეხურამდე აგამაღლებს, რომლამდე ამაღლების საშუალებასაც თავად მისცემ და ამ საფეხურზე ის შენთვის საუკეთესოს გააკეთებს. მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ვზღუდავთ იმას, რისი გაკეთებაც ღმერთს ჩვენს ცხოვრებაში სურს. ვზღუდავთ ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით, რომ ღმერთმა ჩვენივე გზით იმოქმედოს, ნაცვლად იმისა, რომ მის გზას დავმორჩილდეთ. ის ჩვენთვის გაცილებით მეტსაც გააკეთებდა, მაგრამ ხშირად არ ვაქცევთ ყურადღებას, რადგან ამ აკვიატებით ვართ დაკავებულნი: „აი, მე ასე მინდა, ღმერთო!“. ჩემი საკუთარი გზის მოთხოვნით ღმერთის ყველაზე საუკეთესოდან მეორე ან მესამე საუკეთესომდე მივდივარ. მისი საქმიანობა ჩემს ცხოვრებაში ხშირადაა შეზღუდული, რადგან მე მის ღვთაებრივ გზას უარვყოფ.

ასეთი იყო ისრაელის შემთხვევა. ოდესღაც ისრაელში თეოკრატია იყო. ეს იყო ერი, რომელსაც ღმერთი მართავდა, მაგრამ ისრაელის ისტორიაში დადგა დრო, როდესაც ხალხს ღმერთის მმართველობა აღარ სურდა. მათ, როგორც ყველა სხვა ერმა, მეფე მოითხოვეს. ეს ეროვნული კატასტროფის დრო იყო, რადგან ისრაელი თეოკრატიიდან მონარქიამდე დავიდა.

ღმერთმა ხალხის მოთხოვნები დააკმაყოფილა და სამუელს საულის მეფედ ცხება უბრძანა. ღმერთმა ისრაელიანები არ გაანადგურა და არ უთხრა: „მე თქვენთან მოვრჩი!“ ისინი კვლავ ღვთის ხალხი იყვნენ. მან ყველაფერი გააკეთა, რაც მათ დაწესებულ პირობებში შეეძლო... და ისრაელისთვის მეფე დანიშნა.

თუმცა ღმერთს სურდა ეცნობებინა, რომ მათი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყო. სამუელის მეშვეობით უთხრა მათ, რომ ის ქუხილისა და წვიმის გამოგზავნას აპირებდა ხორბლის ყანებზე. ასეც მოხდა. ხალხი კი მოშიშებით აღივსო. სამუელს, თავიანთ წინასწარმეტყველს, მიმართეს: „შევცოდეთ! შეევედრე შენს ღმერთს ჩვენთვის, რომ არ მოვკვდეთ, რადგან მთელ ჩვენს ცოდვებს ის ბოროტებაც დავუმატეთ, რომ მეფე მოვითხოვეთ.“

მიუგო სამუელმა: „ნუ გეშინიათ, თუმცა შესცოდეთ, მაინც ღვთის ხალხი ხართ. თავისი სახელის გამო აგირჩიათ.“ შემდეგ მან ეს საოცარი სიტყვები თქვა:

„მე კი, არ შემეცოდოს უფლისთვის და არ შემეწყვიტოს თქვენთვის ლოცვა.“ (1 მეფეთა 12:16-23).

ულოცველობა რეალურად ცოდვაა ამ მონაკვეთის მიხედვით. ულოცველობის ცოდვაში რამდენჯერ მიგვიძღვის დანაშაული! დაფიქრდით, რამხელა იმედგაცრუებაა ღმერთისთვის, როცა არ ლოცულობთ.

ღმერთი სამყაროს შემოქმედია. „ყოველივე მისი მეშვეობით შეიქმნა; და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“ (იოანე 1:3). მან, ვინც ეს უკიდეგანო სამყარო შექმნა, მოგიწვიათ, რომ მიხვიდეთ, ესაუბროთ და ეზიაროთ მას. მოგიწვიათ მის თანდასწრებაში, რათა გაუზიაროთ პრობლემა ან საჭიროება, რომელიც შეიძლება გქონდეთ. თუმცა ამ მოპატიჟებას ბევრჯერ უგულებელვყოფთ ხოლმე.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ფოსტიდან წერილი მოგვიდათ, რომელსაც შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფერადი ბეჭედი აქვს ამოტვიფრული. წერილს ხსნით და თეთრ სახლში ოფიციალურ მოწვევას პოულობთ. ვიზიტის ყველა ხარჯი დაფარულია. რას იზამდით? გადააგდებდით? არა! ეთანხმებით თუ არა ამას, პრეზიდენტი მაინც მნიშვნელოვანი პიროვნებაა. პასუხის გაცემას დააგვიანებდით? რა თქმა უნდა - არა.

თუ ადამიანის მოწვევას გულმოდგინედ პასუხობთ, იფიქრეთ, როგორი შეურაცხყოფაა ღმერთისთვის, როდესაც მოწვევაზე უარს იღებს.

შეიძლება თქვა: „უბრალოდ დრო არ მაქვს ლოცვისთვის“. ტელევიზორის ყურებისთვის გაქვს დრო? დრო ყოველთვის გვაქვს იმის გასაკეთებლად, რაც ნამდვილად გვინდა. ამიტომ, ღმერთი ჩათვლის, რომ მასთან ურთიერთობა ნამდვილად არ გვინდა, და ეს სწორი დასკვნა იქნება.

ჩვენი ხორცი ლოცვას ეწინააღმდეგება, რადგან ეს სულის ვარჯიშია. ამიტომაც ლოცვის დაწყებიდან მალევე ვიღლები. ვამბობ: „ძალიან მეძინება, უფალო“. ჩემი ხორცი ლოცვის სულიერ ვარჯიშს ეწინააღმდეგება.

სული და ხორცი ერთმანეთს ყოველთვის ებრძვიან. სულიერი ვარჯიშის დაწყებისთანავე ჩემი ხორცი მას ეწინააღმდეგება. ნებისმიერი საბაბის პოვნა შემიძლია. „ძალიან ნაწყენი ვარ იმისთვის, რომ ვილოცო“ ან „ძალიან სუსტად ვარ იმისათვის, რომ ვილოცო“.

ულოცველობა ღვთის საქმეს რეალურად აფერხებს. შეიძლება იკითხოთ: „განა ღმერთი სუვერენული არ არის? არ შეუძლია გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც სურს? განა ის არ მართავს მთელ სამყაროს? განა ყველაფრის მიუხედავად არ შესრულდება მისი მიზნები? მაშინ ულოცველობამ ღვთის საქმე როგორ შეიძლება შეაფერხოს?“

მართალია, ღმერთი სუვერენულია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ღმერთმა შეგვქმნა, როგორც თავისუფალი, მორალური პიროვნებები. ჩვენ თავისუფლად არჩევისა და მოქმედების უნარი გვაქვს და ღმერთი პატივს სცემს ამ თავისუფალ მორალურ უფლებამოსილებას. ის თავის ნებასა და სურვილებს არ დაგაძალებს. მან არჩევანის უნარი მოგცა და პატივს სცემს შენს არჩევანს.

ღმერთმა დაადგინა, რომ დედამიწაზე მისი საქმე ლოცვითა და ჩვენი შეთანხმებით განხორციელდეს.

ფსალმუნებში ის აცხადებს, რომ ებრაელმა ერმა „შეზღუდა ისრაელის წმიდა“ (ფსალმუნი 77:41). შეუზღუდავი ღმერთი ადამიანის ურწმუნოებით იყო შეზღუდული. ლოცვაში ხელს რა გიშლის? ურწმუნოება. შენი ურწმუნოებით რეალურად შეგიძლია ღმერთის საქმე შეზღუდო.

იესომ თქვა,

„თქვენ არ აგირჩევივართ, არამედ მე აგირჩიეთ და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ და თქვენი ნაყოფი დარჩეს, რათა, რასაც კი სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მან მოგცეთ თქვენ“ (იოანე 15:16).

ღმერთს ბევრი რამის მოცემა სურს, მაგრამ მანამ არ მოგცემს, სანამ არ ილოცებ. ლოცვით რეალურად კარს ხსნი, რათა ღმერთს იმის კეთების საშუალება მისცე, რაც მას სურს. მჯერა, რომ ჩვენი ლოცვის ნაკლებობის გამო მხოლოდ მცირე ნაწილი ვნახეთ იმისა, რისი გაკეთებაც ღმერთს სურდა.

ღმერთი გვიბრძანებს, რომ ვილოცოთ. მაშასადამე, ულოცველობა ღვთისადმი დაუმორჩილებლობაა. ბიბლია ამბობს: „ილოცეთ განუწყვეტლივ“ (1 თესალონიკელთა 5:17) და „რომ ყოველთვის უნდა ილოცონ და არ მობეზრდეთ“ (ლუკა 18:1). ულოცველობა ცოდვაა, რადგან მე ღვთის უშუალო ბრძანებას არ ვემორჩილები.

ჩვენ ერთმანეთისთვის უნდა ვილოცოთ. ცოდვაა, თუ მე, როგორც მოძღვარი, ჩემი სამწყსოსათვის არ ვლოცულობ. წმინდა წერილში ნათქვამია: „ილოცეთ

ერთმანეთისთვის“ (იაკობი 5:16). „ზიდეთ ერთმანეთის ტვირთი და ასე აღასრულებთ ქრისტეს რჯულს.“ (გალატელთა 6:2).

ზოგჯერ შეიძლება სხვა ადამიანის ცხოვრებაში არსებულ პრობლემაზე ვილოცოთ. როდესაც პრობლემა მაშინვე არ ქრება, იმედი იმდენად გვიცრუვდება, რომ შეიძლება საერთოდ შევწყვიტოთ მისთვის ლოცვა. სხვა ადამიანთა შეცდომებზე ძალიან ვბრაზობთ, მიუხედავად იმისა, რომ იგივე ნაკლი ჩვენს ცხოვრებაშიც შეიძლება გვქონდეს. ჩვენი ცოდვები ყოველთვის უფრო საშინლად გამოიყურება, როდესაც მათ სხვა სჩადის!

სამუელი ლოცულობდა, რომ ღმერთს ხალხის აზრი შეეცვალა, რათა მეფე აღარ მოეთხოვათ. მას სურდა, რომ ღმერთს ემართა და ემეფა მის ერზე, მაგრამ მისი ლოცვის შემდეგ ისრაელის ძეები მეფეს კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ. სამუელს ადვილად შეეძლო ზიზღით მოცულიყო და ეთქვა: „აღარ ვაპირებ ამ ჯიუტი, ქედმაღალი ხალხისთვის ვილოცო! რაც ითხოვეს, აქვთ. დაე, შედეგები მოიმკონ.“ მაგრამ ასე არ მოქცეულა. მათ უთხრა: „მე კი, არ შემეცოდოს უფლისთვის და არ შემეწყვიტოს თქვენთვის ლოცვა“ (1 მეფეთა 12:23).

ულოცველობის მიზეზები

თუ საკუთარ თავს გამოიკვლევთ, თქვენს ცხოვრებაში ლოცვის ნაკლებობის მრავალ მიზეზს აღმოაჩენთ. პირველი მიზეზი დროის ნაკლებობაა.

ამ საზოგადოებაში საკუთარ თავს უფლებას ვაძლევთ, იმაზე მეტად ვიყოთ დაკავებულნი, ვიდრე ღმერთმა თავდაპირველად განგვიზრახა. როდესაც უფალმა ჩვენი სხეულები პირველად შექმნა, მან განიზრახა, რომ ადამიანს ბევრად უფრო ადვილი და მშვიდი ტემპით ეცხოვრა, ვიდრე დღეს. ჩვენი ცხოვრების წესი და ჩვენი საზოგადოება უფალთან განმარტოებისთვის დროის გამონახვას ართულებს.

ასევე, ძალზე ძნელია სალოცავად ისეთი ადგილის პოვნა, სადაც ხელს არ შეგიშლიან. უფალთან განმარტოებისთვის მშვიდი ადგილის პოვნა სულ უფრო და უფრო რთულდება. ეს სამყარო უფრო მჭიდრო დასახლებული და გადატვირთული ხდება და სატანა ყველაფერს აკეთებს, რომ უფალთან ერთად დროის გასატარებლად შექმნილი მყუდროება დაგვირღვიოს.

მაგალითად, შეიძლება ხანდახან მთელმა კვირამ ისე ჩაიაროს, რომ არავინ დაგირეკოთ. მაგრამ, თუ მარტოსულად იგრძნობთ თავს და გინდათ, რომ ტელეფონმა დარეკოს, უბრალოდ დაიჩოქეთ და ილოცეთ. დარწმუნებული იყავით, რომ ტელეფონი აუცილებლად დარეკავს ზუსტად ამ დროს, ან ვინმე კარზე დაგიკაკუნებთ, ან რომელიმე ბავშვი ტირილით შემოვა. ამდენი არეულობა ლოცვას ხელს უშლის.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გეშლება ლოცვაში ხელი, ისაა, რომ საკუთარ გონებას გაფანტვის უფლებას აძლევ. გარკვეულ საკითხებზე დაიწყებ ლოცვას და სულ მალე აღმოაჩენ, რომ შენს გონებას სერფინგზე მიყავხარ - საოცარი ტალღებია, შემდეგი ტალღა შეუდარებელია - უი, „მაპატიე, უფალო!“ - შენი გონება სადღაც გაფრინდა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ულოცველობას იწვევს, თვლემაა. ჩვენ უმეტესად ისეთი წნეხის ქვეშ ვცხოვრობთ, რომ ნებისმიერ თავისუფალ მომენტს დასვენებისთვის ვიყენებთ. მაგალითად, თუ საწოლთან დაიჩოქები, თავს მკლავებში ჩარგავ და ლოცვას დაიწყებ - ეს ძილისთვის ნამდვილად კარგი პოზიციაა! შეიძლება შუა ლოცვის დროს მოულოდნელად ჩაგეძინოს. ცოტა ხნის შემდეგ ფეხებისა და მუხლების ტკივილი გაღვიძებს და აცნობიერებ: „ჩამომეძინა!“.

კიდევ უფრო უარესია, როდესაც საწოლში დაწოლასა და ბალიშზე თავის დებით ლოცვას გადაწყვეტ. ამის თქმით სრულიად არ ვეწინააღმდეგები ასე ლოცვას. მე თვითონ ყოველ ღამე უფალთან საუბრით ვიძინებ. ჩაძინებამდე უფალთან ურთიერთობა მსიამოვნებს. მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, აუცილებელია ლოცვის კონკრეტული დრო, რომელიც ბევრად უფრო აქტიური და ფხიზელია.

გამოსავალი

რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი ულოცველობის პრობლემა დავძლიოთ? მე რამდენიმე პრაქტიკული წინადადება მაქვს. საქმე დროს როდესაც ეხება, საკუთარი თავი უნდა გავწვრთნათ, რათა დრო გამოვყოთ ხოლმე ლოცვისთვის, რადგან ლოცვისთვის დროს ვერასდროს იპოვი, ეს დრო თავად უნდა შექმნა.

ცხოვრება პრიორიტეტებისგან შედგება და რადგანაც რისი გაკეთებაც გსურს, იმ ყველაფრის მოსწრება შეუძლებელია, ყოველთვის მოგიწევს ნაკლებად მნიშვნელოვანი რამ მეტად მნიშვნელოვანისთვის შესწირო. ბრძენი ადამიანი თავის დროს კარგად იყენებს და თავისი პრიორიტეტები სწორ პერსპექტივაში უჭირავს.

ლოცვა ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობაა, რაშიც შეგიძლია ჩაერთო. ის შენი პრიორიტეტული საქმეების სიის სათავეში უნდა იყოს. ლოცვას დრო მაშინაც კი უნდა დაუთმო, თუ ჭამის ან საღამოს სერიალის გამოტოვება მოგიწეევს!

მეორე, მშვიდი ადგილი იპოვე. ამას შეიძლება გარკვეული ძალისხმევა დასჭირდეს, მაგრამ მცდელობა განაგრძე. უფალთან მარტო დავრჩენის მიზნით ფეხით ან მანქანით ვსეირნობ ხოლმე. ასევე ჩემი ოჯახის დანარჩენ წევრებზე ბევრად ადრე ვიღვიძებ. ლოცვა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძილი. ასევე დილით ადრე ტელეფონი ძალიან იშვიათად რეკავს.

იმისთვის, რომ გონება არ გამეფანტოს, ჩვეულებრივ ხმამაღლა ვლოცულობ. მართალია, ღმერთმა იცის, რა მაქვს გულში, მაგრამ როცა მხოლოდ გულში ვლოცულობ, გონება ხშირად მეფანტება. ერთი წუთით ვფიქრობ: „უფალო, იზრუნე ამასა და ამაზე. მადლობა ამისთვის“ და მალე ჩემი გონება ისევ სერფინგს იწყებს! მაგრამ როდესაც ვლოცულობ, იმაზე ფიქრი მიწევს, რასაც ვამბობ. ეს უფალთან ჩემს საუბარზე კონცენტრირების მოხდანას მაიძულებს.

აღმოვაჩინე, რომ ჩემთვის პირადად, ჯობია სკამზე ჯდომისას ვილოცო. თვალებსაც არ ვხუჭავ, რადგან ეს შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს!

ბავშვობაში ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ თუ თვალებს არ დავხუჭავდი, უფალი არ მომისმენდა. ერთხელ პასტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში კალათბურთს თამაშობდა. ერთხელაც გუნდმა თამაშის წინ ლოცვა გადაწყვიტა. ერთმა ბავშვმა თქვა: „კარგით, ყველამ დახუჭეთ თვალები, თორემ წავაგებთ“. თვითონ კი გამოიჭყიტა, რომ დაენახა ყველანი ხუჭავდნენ თუ არა თვალებს - და წააგეს. ეს ბავშვი იმ თამაშის გამო წლების განმავლობაში იდანაშაულებდა თავს!

თუმცა წმინდა წერილი გვეუბნება, რომ განუწყვეტლივ ვილოცოთ (1 თესალონიკელთა 5:17), რაც ნამდვილად იმაზე მიუთითებს, რომ ლოცვა სხეულის პოზიცია არ არის. ლოცვისთვის მუხლებზე დგომა რომ მიწევდეს, მაშინ განუწყვეტლივ მუხლებზე უნდა ვმდგარიყავი. ანალოგიურად, ღმერთი ჩვენგან ყოველთვის თვალდახუჭულ ლოცვას არ მოელის, რადგან უწყვეტი ლოცვის მოთხოვნა გვაიძლებს თვალები აღარასოდეს გავახილოთ.

ღმერთი ჩემს ყველა ლოცვას ერთნაირად ისმენს მიუხედავად იმისა, თვალები ღია მაქვს თუ დახუჭული.

აღმოვაჩინე, რომ სიარული თვლემისა და მოთენთილობის დროს ლოცვისთვის კარგი გამოსავალია. სიარულისას ვერ ჩამეძინება. ხანდახან ოთახშიც დავდივარ წინ და უკან. ზოგჯერ სასეირნოდ ეზოში ან მინდორში მივდივარ და ღმერთს ველაპარაკები. ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და კურთხეული ლოცვის დრო სიარულისას მაქვს ხოლმე.

როცა ვლოცულობ, ღმერთს ისე ველაპარაკები, როგორც ჩემს ყველაზე ახლო მეგობარს დაველაპარაკებოდი. რაიმე დახვეწილ ტონს არ ვიყენებ, არც ვგიჟდები და ვყვირი. ღმერთმა იცის როგორი ვარ ნამდვილი. არ მჭირდება „ლოცვის ტონით“ ვესაუბრო. მე მას ფაქტობრივად, რეალურად ვესაუბრები. ყველა ჩემს პრობლემას, ეჭვსა და კითხვას ვუზიარებ. ვცდილობ მასთან მაქსიმაურად გულწრფელი ვიყო. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან მან იცის როდის არ ვარ გულწრფელი! თუ რაიმეს დამალვას ვცდილობ, მხოლოდ საკუთარ თავს ვიტყუებ და არა - ღმერთს.

შემიძლია ვუთხრა: „უფალო, იცი, რომ ეს ადამიანი ნამდვილად არ მიყვარს იმდენად ღრმად, როგორც საჭირო“. ამით სიმართლის დამალვას ვცდილობ, რადგან არ მინდა ღმერთის წინაშე ასე ცუდად გამოვიყურებოდე. მაგრამ, ამავე დროს, შემიძლია სიმართლე ვუთხრა: „ღმერთო, მე ის მძულს, ვერ ვიტან. ყოველ მისი დანახვისას მინდა ცხვირი ჩავულეწო!“ იყავი გულწრფელი და შემდეგ მოინანიე!

ასევე, ღმერთთან ორმხრივი უერთიერთობა მაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეც უნდა მოვუსმინო. ბოლოს და ბოლოს, ღმერთს სურს, რომ დამელაპარაკოს. უდიდეს სიხარულსა და კურთხევებს ვიღებ, როდესაც იმას ვაკეთებ, რასაც ჩემს შემოქმედთან კომუნიკაცია და თანაზიარება ჰქვია.

ღმერთმა მოგვიტევოს ჩვენი ულოცველობის ცოდვა. ღმერთი დაგვეხმაროს მხურვალედ ლოცვაში. დაე, დავინახოთ ღვთის ძლევამოსილი საქმე, რომელიც ამ სასოწარკვეთილ სამყაროში ჩვენი ლოცვით იქნება შესრულებული.